კვალი

წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო ყოველკვირეული გაზეთი — მეთერთმეტე

№ 27 — კვირა, 3 აგვისტო 1903 წ. — № 27

გაზეთის ფასი: ერთი წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ: ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საპოტრის ქუჩაზე, № 35. **ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

შინაარსი: „თანხმობის“ მქადაგებელს, რ. ა.-სა.—ინტელიგენცია, ლ. დ.-სა.—მთავრობის განცხადება.—სხვა-და-სხვა ამბები.—წერილი ხონიდან, სირუისი.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—ბრელი სუფრა, ფარსი-კომედია ი. ევდოშვილისა.—ძიძა, მოთხრობა ნ. ნაკაშიძისა..—ისევ ოპპორტუნიზმის მოტრფიალეს, ლ. ნ.-სა. ჟურნალ-გაზეთებიდან და განცხადებანი.

„კვალის“ რედაქცია უმორჩილესათა სთხოვს ხელის მომწელებს, ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, დააჩქარონ შემოტანა.

„თანხმობის“ მქადაგებელს

ყველამ იცის, რომ თანამედროვე ცხოვრებაში პროგრესიულ ელემენტს მარტო მშრომელთა კლასი არ შეადგენს. ფეოდალური წყობილების ნაშთთა მძიმე ჯაჭვებისგან შევიწროვებას ითმენენ არა მარტო მშრომელნი, არამედ ყველა ის კლასები, რომელნიც ახალმა ცხოვრებამ წამოაყენა, წარმოების ახალმა ფორმამ შექმნა. ფეოდალური წყობილება ხელის შემშლელია როგორც მშრომელთა, ისე მსხვილ და წვრილ ბურჟუასთვის, ამიტომ მათთვის ყველასათვის სასურველია ფეოდალურ წყობილების ნაშთთა გაუქმება ყოველ სფერაში, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურში. მიუხედავად ამისა ბურჟუაზიული კლასები თავიდანვე არ გამოდიან სამოქმედო ასპარეზზე, როგორც ოპოზიციონური ელემენტი. ეს როლი იმ თავითვე მხოლოდ მშრომელთა კლასმა მიიღო თავის თავზე. მან იმ თავითვე შეურიგებელი ომი გამოუცხადა რეაქციონურ ძალებს და იარაღი არასოდეს არ დაუყრია არაფერ დაბრკოლების წინ არ შეჩერებულა. მისმა ენერგიულმა ხმამ გამოაფხიზლა ყველა სხვა კლასები და ჯგუფები, რომელთა ინტერესებიც კი ეწინააღმდეგებიან დროგადასულ ფეოდალიზმის ინტერესებს. მარა წინეთ, როცა მშრომელთა პროგრესიული მოძრაობა ახლათ გამოღვიძებული იყო და მისი ხმა დისსონანსავით გაისმოდა მიყრუებულ არე-მარეში, ყველა სხვა წრეები და კლასები საზოგადოებისა შიშით იკრუნჩხებოდენ მოთბილო კუნჭულში და მონურათ ხრიდენ ქედს შემავიწროებელ რეაქციის წინაშე. ისინი არ იღებდენ ხმას, რადგან არ ქონდათ იმედი, რომ მათ მოქმედებას რაიმე პრაქტიკული სარგებლობა მოყვებოდა მათთვის. ხოლო თავის განწირვა, იდეალისთვის პირად ინტერესების უარყოფა და საზოგადო საქმისთვის თავის ბედნიერების შეწირვა მათ არ შეეძლოთ, ე. მათ არ სჩვევიათ და იყვნენ დადუმებული. მაგრამ პროგრესიულმა მოძრაობამ თანდათან მოიდგა ფეხი, გაფართოვდა, გაძლიერდა და საზოგადოებრივ ცხოვრებას ასე თუ ისე თავის გავლენა დააჩნია. ახლა კი ყველა უკმაყოფილო კლასებმა გამოყვეს თავი, ყველამ ამოიღო ხმა გამოცოცდენ თავის თბილი კუნჭულებიდან ბურჟუა ლიბერალები და მორთეს განგაში, რომ თვითონაც წილი და არა მცირედი წილი დადებოდათ პროგრესიულ მოძრაობის ნაყოფიდან. ამ ნაირათ ოპოზიციონურ ბანაკში გაჩნდენ სხვადასხვა ჯგუფები და კლასები საზოგადოებისა, თავი მოიყარეს ყველა უკმაყოფილოთ. მათ აერთდებდათ საერთო მტერი, საერთო უკმაყოფილება ცხოვრების წესით. თვითეული მათგანი მხოლოდ ამ აზრით იყო გამსჭვალული და ამიტომ ის წარმოადგენდა ერთ გამოურკვეველ ოპოზიციონურ მასსას. მაგრამ ნელნელა ეს მასსა გამოერკვა, ცხოვრებამ მათ შორის არსებული განსხვავება აშკარათ გამოაჩინა და თვითეულმა ჯგუფმა საკუთარი სახე მიიღო, თავის კალაპოტში ჩადგა. ამ ნაირათ შედგა რამდენიმე ჯგუფი ოპოზიციონერებისა. ახალ ჯგუფებს, რასაკვირველია, არ შეუძლიათ საკუთარი ძალით რაიმეს გაკეთება. მარტო, მშრომელ ელემენტებისაგან განცალკევებულ მოქმედებით მათ არ შეუძლიათ პროგრესიულ მოძრაობას თავი დაადგან. ისინი თვით ამ მშრომელთა ხმამ გამოაღვიძა და მათი ოპოზიციონური სულიც ამ ხმით საზრდოობს. ამასთანავე მათი ინტერესები დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს, როგორც ეს გვქონდა გარჩეული წინა წერილში (იხ. მცირე განმარტება „კვალი“ № 23). ხოლო ეს წინააღმდეგობა რაც უფრო ძლიერათ იჩენს თავს, იმდენათ ნაკლები წილი ექნებათ ბურჟუაზიულ ჯგუფებს პროგრესიულ მოძრაობისაგან მოპოვებულ უფლებებში. მათთვის კი ეს სასურველი არაა. პირიქით ისინი ცდილობენ მოძრაობის მთელი შედეგით თვითონ ისარგებლონ, ფეოდალთა ადგილას თავის ბატონობა დაამყარონ. ამიტომ ისინი ქადაგებენ ყველა ოპოზიციონურ ელემენტების ერთობას, საერთო მტრის წინააღმდეგ თანხმობით მოქმედებას. ამით, მათი სიტყვით, ოპოზიცია უფრო

გაძლიერდება და თავის მიზანს უკეთ მიაღწევს. განცალკევება და დამოუკიდებლათ მოქმედება—სისუსტეა, ხოლო თუ ამისთანავე მათ შორის მიუხედავათ საერთო მოპირდაპირის წინაალმდეგ მოქმედებისა არ ცხრება (დროებით მაინც) კლასიური ანტაგონიზმი, პროგრესიული მოძრაობა ბევრს დაკარგავს, მისი მიზნის განხორციელება დაგვიანდება. ჩვენ ყველანი ფეოდალურ წყობილების წინაალმდეგ ვმოქმედებთ, ყველას მისი ნაშთების საბოლოოთ მოსპობა გვწადია, მაშასადამე ჩვენ საერთო ინტერესები, საერთო ასპარეზი გვქონია, რომელიც ყველა ოპოზიციონურ ელემენტებისაგან თანხმობით მოქმედობას ითხოვს. ასეთ ოპოზიციონურ ელემენტებათ ჩვენ ლიბერალებს მიაჩნიათ, როგორც წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია, ის ბრწყინვალე წოდების და სამღვდელოების ერთი ნაწილი, რომელთაც ოპოზიციის გზაზე აყენებს განსაკუთრებული პირობები ჩვენი ცხოვრებისა. ყველა ოპოზიციონურ ელემენტებს საერთო სამოქმედო ასპარეზი აქვთ, რომელზედაც შეიძლება მათი შეერთება საერთო საქმის საერთო ძალით გასაძლოლათ. ასე აზროვნობენ ისინი და ამიტომ მშრომელთა პარტიას ერთობისაკენ იწვევენ. მათი აზრით ასეთი ერთობა შესაძლებელია და ადვილათ მოსაწყობი, მიუხედავათ მათ კლასობრივ ინტერესთა წ ნაალმდეგობისა. მაგრამ ნამდვილათ ასეთი შეერთება როგორც ჩვენ წინა წერილშიაც გვქონდა ნათქვამი, ყოვლად შეუძლებელია (იხ. მცირე განმარტება „კვალი“ № 23), რადგან მშრომელთა ინტერესები დიამეტრალურათ ეწინააღმდეგებიან ყველა სხვა კლასთა ინტერესებს. ეს უკანასკნელნი თუმცა დღეს ოპოზიციურ ელემენტს შეადგენენ, მაგრამ პრინციპიალურათ საერთო ბურჟუაზიულ ნიადაგზე დგანან, თანამედროვე წყობილების უმთავრეს საფუძველს (კერძო საკუთრებას) იცავენ, სოციალ-დემოკრატები კი მთელ თანამედროვე წყობილებას ოპოზიციაში უდგანან. მათი მისსიაა ძირი გამოუთხარონ საზოგადოთ მთელ ბურჟუაზიულ წყობილებას, და მის ნანგრევებზე ახალი სრულ თანასწორობაზე დამყარებული წყობილება ააშენონ. ამაში ხედვენ ისინი თავის უმთავრეს მიზანს, თავის დანიშნულებას, ესაა უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპი მათი მოქმედებისა; ეს აზრი ასულდგმულებს მათ მოღვაწეობას საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამიტომ ყოველი კომპრომისი ბურჟუაზიულ ფრაქციებთან მათის მხრივ ღალატი იქნება მათი ძირითადი პრინციპებისა და ამას არც ერთი „მართლ მორწმუნე“ არ ჩაიდენს. მაგრამ არიან ერთი ჯურის ვითომდა სოციალისტები, რომელნიც შესაძლებლათ სცნობენ ასეთ შეერთებას. ესენი არიან ე. წ. ოპპორტუნისტები. ევროპაში დღეს მათი რიცხვი საკმაოთ გავრცელებულია და მათი ფიზიონომია პრაქტიკულ მოქმედებაში საკმაოთ გამოირკვა. ისინი ნამდვილ კომპრომისების და წვრილი, უმნიშვნელო რეფორმების მომხრენი არიან პრაქტიკულ ცხოვრებაში. მათთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ყოველ დღიურ კითხვების გადაჭრას, ამა თუ იმ რეფორმების გაყვანას. და ასეთ მოქმედებას მათი აზრით თავის თავათ მოჰყვება პროლეტარიატის საბოლოო მიზნის განხორციელება; ნამდვილათ ცხოვრებაში კი მათი მოქმედება ძველი წყობილების რემონტია, შეკეთებაა, და როგორც ასეთი ბურჟუაზიულ ფრაქციათა მოქმედებიდან თითქმის არაფრით განირჩევა; ამიტომ, არც გასაკვირალია, რომ მათ შესაძლოთ მიაჩნდეთ ბურჟუაზიულ ფრაქციებთან თანხმობით მოქმედება. ასეა მაგ., მილიერან-ჟორესის მოქმედება საფრანგეთში; მათ მიკვეც-მოკვეცეს, დაახურდავეს თავის პროგრამის ზოგი კითხვები, რომელნიც, მათი აზრით სრულად ვერ განხორციელდებოდენ ამ საპარლამენტო ხანაში, უარყვეს მათი სრულიად განხორციელება (მილიერანიზმას აძლევს ეკლესიის განცალკევების წინააღმდეგ); დასჯერდენ მათ ნაწალ ნაწილათ, წვრილ წვრილათ განხორციელებს (კონგრეგაციათა წინაალმდეგ ბრძოლას) და ამნაირათ შეუერთდენ რადიკალთა სამინისტროს, რომელსაც [illegible] რობს. აქ მოხდა სრული შეთანხმება. შეთანხმდენ რადიკალები და ოპორტუნისტები. ბ. №-ს კი გონია, რომ მათი შეთანხმება დამამტკიცებელია იმისი, რომ სოციალ-დემ. და ბურჟუაზიულ ფრაქციათა შორის საერთო სამოქმედო ასპარეზი შესაძლებელია, რომ მათი შეთანხმება შესაძლებელი ყოფილა. მართალია, მას მეორე მაგალითიც მოყავს ბებელის და ბარტის შესახებ, რომელნიც ერთად ებრძოდენ „პურის ჩარჩებს“, მარა ეს ფაქტი არაფერს არ ამტკიცებს. ის არაფრით არ გვიჩვენებს, რომ ეს ორი პარტია ერთმანეთში შეთანხმებულიყოს და შეთანხმებით ემოქმედოსთ. აქ მოხდა მხოლოდ პარლამენტის პარტიათა შორის ერთგვარი კომბინაცია ბაჟის მომხრეთა და ბაჟის მოწინააღმდეგეთა. ამგვარი კომბინაციები პალამენტალურ ცხოვრებაში ხშირია, და ბევრჯერ ასეთ კომბინაციაში ისეთი მოწინააღმდეგე პარტიები მოხვდებიან, როგორც მაგ., რეაქციონერები და უკიდურესი მემარცხენენი, მარა ამით მათ შორის ვერავითარი კავშირი ფეხს ვერ იკიდებს. ბ. № ტყვილათ სწამებს გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ბურჟუაზიულ ფრაქციებთან „თანხმობით მოქმედებას“. მათ როგორც მათმა ლიდერმა აღიარა, თავის მოქმედების დროს ყოველთვის მხედველობაში აქვთ ბურჟუაზიულ ფრაქციათა შორის ატეხილი ბრძოლა და სარგებლობენ მათი უთანხმოებით თავის მიზნის მოსაღწევათ. დიდი ლოღიკური ნახტომი უნდა გააკეთო, რომ აქედან ისეთი დასკვნა გამოიყვანო, როგორიც ბ. №-ს გამოყავს. მას მოყავს ბებელის, ბარტის და ჟორეს-კომბის მაგალითები ღ დაასკვნის: „მაშასადამე შესაძლებელი ყოფილა ბურჟუაზიულ ფრაქციათა და სოც.-დემ. პარტიის საერთო სამოქმედო ასპარეზის მოძებნა და სხვ.“ („ცნ. ფურ.“ № 2210).

ჩვენ საკმაოთ გავარკვიეთ, რომ ასეთი საერთო ასპარეზი არ არსებობს და არც მისი მოძებნა ყოფილა შესაძლებელი, თუნდაც „განსაზღვრულ პირობებში“. კერძოთ რომ ჩვენში ასეთი „თანხმობით მოქმედება“ შეუძლებელია, ეს ჩვენ წინა წერილშიაც გვქონდა ნაჩვენები და აქ მისი განმეორება ზედმეტათ მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ ბ. № არც კი ცდილა ჩვენი აზრის დარღვევას. პირიქით მან აღიარა, ჩვენ არ გვითქვამს, რომ „საერთო მოწინააღმდეგესთან ბრძოლა აქრობს მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობასო“. ვნახოთ რამდენათ მართალია მისი ალსარება. პრესაში მას აღნიშნული ქონდა, რომ საერთო ასპარეზის არსებობა „ცნობის ფურცელმა“ წინეთ აღიარა და ამისთვის „კვალმა“ კინაღამ ჯვარს აცვა ჩვენი რედაქციაო. „ცნობის ფურცელს“ კი საერთო ნიადაგი სწორეთ პარტიათა გამაერთებელ ნიადაგათ მიაჩნდა. მოვიყვანთ ერთ ადგილს:

„ამას, ე. ი. კლასთა ბრძოლას, ჩვენ ვერ ვარვუოვთ. მხოლოთ ამისდა მიუხედავათ, ჩვენსავე საზოგადოებაში ისეთი მოვლენები არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ბადვენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამთელება და გაერთება (კურსივი ავტორისაა) „ცნ. ფურ.“ № 1416. 1901 წ.). ვინ არ იცის აგრეთვე ბ ჯორჯაძის საერთო პროგრამა, რომლითაც ის ყველა კლასების შეერთებას ფიქრობდა.

იმავე წერილში ბ. № ამბობს, რომ პროგრამების გაერთიანება შეუძლებელია, „მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ამ პარტიებს არ შეეძლოთ შემთხვევის დროს საერთო

ასპარეზის მოძებნა და თანხმობით მოქმედება ამ ასპარეზზე. გაერთიანება სულ სხვაა და თანხმობით მოქმედება სულ სხვა. ნუ თუ ასე ძნელი გასგებია ეს აზრი“ (ცნ. ფურ. № 2210). აშკარაა სულ სხვას ამბობდა წინეთ „ცნობის ფურცელი“, სულ სხვას ამბობს ბ. №. პირველი შესაძლოთ სცნობს პარტიათა გაერთიანებას და ერთ ქართველთა პარტიის შექმნას, მეორე კი ამას უარყოფს. ისინი ერთიმეროეს ეწინააღმდეგება, მაგრამ აქ მეორე მხარეა საინტერესო. ბ. № გვიკიჟინებს: „სად იყო, რომ „ცნობის ფურცელი“ გაერთიანებულ პარტიაზე ლაპარაკობდაო“. ცხადია, მან ან არ იცის, რომელ ორგანოში სწერს, ან განგებ წაჯექ-უკუჯექობას თამაშობს. ჩვენ კი სიმართლე გვითქვამს, როცა „ცნ. ფურც.“ საერთო ნიადაგზე ლაპარაკი სწორეთ ისე მივიღეთ, როგორც თვით მას ესმოდა.*) აღარ გამოვუდგებით სხვა მის ბრალდებათა განხილვას, მან საკმაოთ დაამტკიცა რომ, მხოლოთ წინააღმდეგობის წყურვილმა გადაათქმევინა ის, რაც მისი სიტყვებიდან ლოგიკურათ გადმომდინარეობდა. მაგრამ ამ წერილში აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელმაც სწორეთ ამ ბოლო დროს იჩინა თავი. წინეთ „ცნ. ფურ.“ ბურჟუაზიული პროგრამა გამოქონდა, როგორც ეროვნული, და იწვევდა ყველა პარტიებს ამ პროგრამის ნიადაგზე შეერთებას. ის მაშინ ცხადათ ეჭომაგებოდა ბურჟუაზიას. სულ სხვა გზას ადგია ბ. №. ის საერთო პროგრამას არ თხოულობს, ის სულ სხვა, ოპორტუნისტულ კილოზე დამღერის, „თანხმობით მოქმედების“ ქადაგებით უნდა ყველა დემოკრატიულ პარტიათა შეერთება. ასეთი „თანხმობის“ პოლიტიკა დიდი ხანია წამოაყენეს ევროპაში ე. წ. ოპორტუნისტებმა, რომელთაც ძლიერ შესტრფის ჩვენი მოკამათე. მათ ბანი მისცეს ყველა ბურჟუაზიულმა ფრაქციებმა, რადგან ამ თეორიაში ბევრი რამ მათთვის სასარგებლო დაინახეს. კომბთან „შეთანხმებით მოქმედების“ გულისთვის ჟორეს-მილერანმა შეკვეცეს თავის პროგრამა და ბურჟუაზიული რეფორმები აღიარეს თავის პრაქტიკულ მოქმედების საგნათ. მერე რა სასარგებლობა მოაქვს მათ ასეთ ქცევას. ბურჟუაზიისთვის ცხადია ის სასარგებლოა, რადგან ისინი ამით მოკავშირეს პოულობენ. ხოლო პროლეტარებისთვის ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ასეთი შეთანხმება პროლეტარიატის მხრივ ნიშნავს თავის პროგრამის ღალატს, თავის კლასობრივ ინტერესების უყურადღებოთ დატოვებას, ამით მშრომელთა კლასის მოძრაობა კარგავს თავის კლასობრივ ხასიათს და ბურჟუაზიულ მოძრაობათ ხდება. ბურჟუაზიას, რასაკვირველია, სურს ფეოდალთა ადგილს თვითონ გაბატონდეს, მაგრამ თავის ხელით ნარის გლეჯას მიჩვეული არაა, იგი მხოლოთ სხვისი შრომის ნაყოფით სარგებლობს. ამიტომ იგი თანაუგრძნობს მშრომელთა კლასის ბრძოლას ფეოდალურ წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ მეორე მხრით მისი ინტერესები მოითხოვენ, რომ ამ ბრძოლამ ფეოდალთა ბატონობასთან ერთათ ძირი არ გაუთხაროს, არ შეარყიოს მისი არსებობის უმთავრესი საფუძველი, კერძო საკუთრების პრინციპი. მშრომელთა კლასობრივი მოძრაობა კი სწორეთ აქეთკენ მიისწრაფის. მათ იმდენათ ეინტერესებათ ფეოდალურ ჯაჭვების დამსხვრევა, რამდენათ ამით გზა ეკაფება მათ საბოლოო მიზნის განხორციელებას პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობიდან სრულ განთავისუფლებას და თანასწორობის დამყარებას. ფეოდალურ წყობილებასთან ბრძოლაში სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს ბურჟუაზიას, „მაგრამ ის ყოველ წუთს ცდილობს მუშათა გონებაში შექმნას რაც შეიძლება ნათელი წარმოდგენა — ეს წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. მას სურს ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები, რომელიც მოყვება ბურჟუაზიის გაბატონებას, იმავე ბურჟუაზიის წინააღმდეგ სიბრძოლველ იარაღათ გამოადგეს მუშათა კლასს“. „ისინი მხარს უჭერენ ყოველგვარ მოძრაობას, რომელიც კი არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ იქნება მიმართული. ყველა ასეთ მოძრაობაში ისინი პირველ ადგილზე აყენებენ კითხვას საკუთრების შესახებ, როგორც ძირითად კითხვას მთელი მოძრაობისა, მიუხედავათ იმისა, რომ ის ყველგან ერთნაირათ განვითარებულ ფორმით არ ჩნდება“, სწორეთ ეს ტენდენცია მშრომელთა მოძრაობისა აფრთხობს ბურჟუაზიის იდეოლოგებს და ისინი „თანხმობაზე“ ყვირილით ცდილობენ მის ჩაქრობას. მათი სიტყვებით მოტყუვდებიან ისინი, ვისაც არ აქვთ შეგნებული მშრომელთა ნამდვილი ინტერესები, გონიათ, რომ „მოძრაობა ყველაფერია მიზანი კი არაფერი“. და დღევანდელ კვერცხს სცვლიან ხვალინდელ ქათამში. ევროპის მუშა ხალხმა კი დიდი ხანია შეიგნო ეს უბრალო ჭეშმარიტება და ყველგან გაინთავისუფლეს თავი ლიბერალთა ოპეკუნობისაგან. „თანახმობით მოქმედების“ უვარგისობა შეიგნეს უკანასკელ დროს ინგლისის მუშებმაც, რომელნიც აქამდე ლიბერალებს აძლევდენ ხელში თავის ბედს. ისინი მიხვდენ, რომ მათი ინტერესების საუკეთესო დაცვისათვის საჭიროა თავის საქმის საკუთარი ძალით გაძღოლა, დამოუკიდებლათ მოქმედება.

ბურჟუაზიული დემოკრატები „თანხმობით მოქმედების“ სარგებლობას იმ მცირე უმნიშვნელო რეფორმებით ზომავენ, რომელნიც ასეთ თანხმობას მოყვება, და მუშათა მდგომარეობასაც გააუმჯობესებს. მაგრამ ვისაც შეგნებული აქვს მუშათა კლასობრივი ინტერესები, მათი როლი მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისა ყოველგვარ მონობისა და დაჩაგვრისაგან, ვერასოდეს ვერ დათანხმდება ბურჟუაზიულ ფრაქციებთან კავშირის დადებაზე. მისთვის უფრო ძვირფასია პრინციპი, საბოლოო მიზნისკენ მისწრაფება, ვინემ ის მცირედი გაუმჯობესება, რომელიც ბურჟუაზიასთან „შეთანხმებით მოქმედებას“ მოყობა. მარა ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ისინი ამით უარყოფდენ პარლამენტში მოქმედებას, პრაქტიკულ კითხვების გადაჭრაში მონაწილეობის მიღებას. ისინი ყველმ ამაებში იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათი მოქმედების აზრი ერთია, გამო

სპეციალური საგნის შასწავლას სულ უბრალო საქმეთ ხდის. სპეციალისტების რიცხვი უზომოთ იზრდება და სპეციალური პროფესიაც კარგავს თავისს არისტოკრატიულ ხასიათს. სპეციალური შრომის ფასი შესამჩნევათ ეცემა. გარდა ამისა, ყველამ უწყის, თუ რა გაჭირვებით ცხოვრობენ ფოსტა-ტელეგრაფის, რკინის გზის, სასამართლოების და სხვა-და-სხვა კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულების დაბალი მოხელენი, აგრეთვე შტატ გარეშე და დავისუფალ მოქირავე მოსამსახურენი. საერთო რიცხვით, დიდ ძალი ნაწილი ინტელიგენციისა უნუგეშო მდგომარეობაშია. დაბინავებულ ინტელიგენციის ზურგს უკან მრავლათ ხედავთ უადგილო ინტელიგენტებს, რომელნიც ყელ-გადაგდებულნი დადიან ადგილის საძებნელათ და ხან ერთისა და ხან მეორე დაწესებულების კარებს ამაოთ აკაკუნებენ. ეს ინტელიგენციის „სათადარიგო ჯარია“. საკმაოა დაბინავებულ ინტელიგენტს უბრალოთ ფეხი გადაუბრუნდეს, რომ მეორე დღესვე უადგილო-უბინაო ინტელიგენტების ბანაკში ამოყოს თავი. ადგილის დაკარგვა ძალიან ადვილია, რადგან „სათადარიგო ჯარი“ გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს „ვაკანსია“ ხომ არსად გაიხსნაო. „სათადარიგო“ ჯარი“ არამც თუ არა კლებულობს, იგი თანდათან უფრო მატულობს: ერთის მხრით სწავლა-განათლების გავრცელება, საზოგადო თუ პროფესიონალური შკოლების გამრავლება—რაც ჩვენი დროის აუცილებელი მოთხოვნილებაა— და მეორე მხრით ის გარემოება, რომ ნაკლები კაცით თანდათან მეტი საქმე კეთდება. აი ორივე ეს გარემოება უხვათ უგზავნის „სათადარიგო ჯარს“ ახალ-ახალ რაზმებს.*) ამ გვარათ, ღარიბი ინტელიგენცია თანდათან უფრო ძირს ეშვება, კარგავს ყოველ-გვარ უპირატესობას და ბოლოს სავსებით უერთდება მუშა-ხალხს, სრულიათ პროლეტარიატდება. ამ ინტელიგენციის კლასობრივი გაცნობიერება ნიშნავს მის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს გაცნობიერება არც ისე ადვილია. მართალია ნივთიერი პირობები უკარგავენ ხსენებულ ინტელიგენციას ყოველგვარ უპირატესობას, მაგრამ ინტელიგენტი მაინც ადვილათ ვერ ესალმება იმ აზრს, რომ იგი ინტელიგენტია, ე. ი. უფრო მაღალი წრის კაცი, ვინემ უბრალო მუშა. გაპროლეტარებული ინტელიგენტიც ადრე თუ გვიან უსათუოთ ცნობიერდება, ტყობულობს თავის საზოგადოებრივ ტკივილების ჭეშმარიტ მიზეზებს, პოულობს ამ ტკივილების გამკურნავ საშუალებებს, იგებს. ვინ არის მისი მტერი და მოყვარე და ძლევამოსილი ასეთის შეგნებით, გაბედვით დგება გაადამიანების გზაზე.

დავანებოთ თავი ინტელიგენციის დაბალ საფეხურს და ავიდეთ ზევით, სადაც ინტელიგენციის ნაღებია მოგროვილი, სადაც ინტელიგენციის არისტოკრატიაა წამოწოლილი. აქ სულ საპატიო ხალხია თავ-მოყრილი. ესენი არიან ძვირფას „შუბაში“ გახვეულნი ექიმები, ვექილები, პროფესორები, ინჟენერები, ქიმიკოსები და სხ. და სხ. ესენი ნებიერი შვილები არიან განცხრომა-ფუფუნების და აბა სადა სცალიანთ რაღაც „დაწყევლილი კითხვებისათვის“ ან თუ მოიცლიან სიამისოთ—მხოლოთ ნასადილევს, როცა რბილ კრესლოზე განისვენებენ და ისიც მოიცლიან იმიტომ, რომ სიგარის ბოლს თან გაატანონ „მაღალი აზრები“ და „საკაცობრიო კითხვები“. მაგრამ, მოგეხსენებათ, არც საზოგადო კანონია ისე, რომ გამონაკლი არა ქონდეს. ის აზრი, რომ მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო, ანუ—სხვანაირათ და სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ—ადამიანის გულის პასუხი, ჭირი და ლხენა მხოლოთ იმისავე წრის ადამიანს შეუძლიან გაიგოს, ეს აზრი ზოგჯერ არ მართლდება. თუმცა ზოგიერთები ამას ვერა ხედავენ და აქსიომასავით გაიძახიან, რომ მუშათა საქმე მხოლოთ თვით მუშებს შეუძლიანო დაიცვანო და ჩვენი დროის ინტელიგენტების საქმე კი მარტო გაცვეთილი ლიბერალობააო. თუ რამდენათ არის სიმართლეს მოკლებული ესეთი შეხედულება, ამას ნათლათ მოწმობს პროლეტარიატის განვითარების ისტორიაც. და ან ვინ არ იცის თუნდ დღევანდელი ცხოვრებიდან იმის მაგალითები, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელს ღირსეულათ ამშვენებდეს რომელიმე მოღვაწე საზოგადოების უმაღლესი წრიდან გამოსული? დიახ, მიუხედავათ იმისა, რომ დღევინდელ საზოგადოებრივ მოღვაწეობის ქვაკუთხედს შეადგენენ განსაზღვრული კლასის ინტერესები, საზოგადოებრივ ასპარეზზე შეიძლება ყველა კლასებიდან გამოვიდენ მოღვაწენი. შეიძლება ამ კლასს ყველა დანარჩენ საზოგადოებივ წრეებში გამოუჩნდენ მომხრენი და თანამებრძოლნი. და ის საშუალება კი, რომელიც შესაძლებლათ ხდის ამ პირველი შეხედვით შეუძლებელ საქმეს, გახლავთ თანამედროვე სოციალური მეცნიერების გაგება, შესისხლხორცება; შეგნება იმისა, თუ რას წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, საიდან მომდინარებს იგი, საით მიისწრაფის და როგორ კანონებს ემორჩილება მისი მსვლელობა-განვითარება. მერე ცოდნის შეძენა, მეცნიერების შეთვისება, ჭეშმარიტების შეგნება ვისთვის-ღა არის უპრიანი, თუ არ ინტელიგენციისთვის, ვისი გონებაც უკვე შეჩვეულია მუშაობას, ფიქრს, აზროვნებას, მოძრაობას და ვისაც მაშასადამე მეტი გონებრივი სიმახვილე, გამჭრიახობა შესწევს. ამ მხრივ ინტელიგენცია სწორეთ რომ უკეთესს პირობებშია; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოებაც. გაალმასებული გონება ორ-პირი მახვილია. როგორც ჭეშმარიტების აღმოჩენა თუ გაგება შეუძლიან ადვილათ, ისევე შეუძლიან ამავე ჭეშმარიტების დაფარვაც. ადამიანის გონება ისტორიის გამომავლობაში ვითარდებოდა, როგორც არსებობისათვის ბრძოლაში გამოსადეგი იარაღი. თვით ამ ბრძოლის პროცესი ავითარებდა გონებას და აძლევდა მას ისეთ შინაარსს (შეხედულებას, აზრს, რწმენას), როგორიც კი შეესაბამებოდა არსებობისათვის ბრძოლის პირობებს. გონება სასარგებლოს ეძახდა ყველა იმას, რაც კი სახეირო იყო ადამიანისთვის, და მავნებელს—რაც კი ადამიანს ხელს უშლიდა და საქმეს უცარავდა არსებობისათვის ბრძოლის დროს. დღესაც ადამიანის გონებას მომეტებულ ნაწილათ ისეთ სფერაში უხდება მოქმედება, სადაც გამეფებულია ანგარიში. ასეთ გარემოებაში კი გონების მოქმედება წინდაწინვე განსაზღვრულია და მასთან შეზღუდულიც. ძნელი სიფიქრებელია, რომ შეუმცდარათ დაინახოთ და გაარჩიოთ ჭეშმარიტება, რომელიც თქვენსა და თქვენიანების სასარგებლოს არ ლაპარაკობს (თუნდ ეს ჭეშმარიტება მთელის თვისის სიდიადით იყოს წინ გამოჭიმული) და თუ გაარჩევთ, საეჭვოა, რომ მწარე ჭეშმარიტება არ გაატკბილ-გემოვნოთ, საეჭვოა, რომ იგი ფერ-უმარილით არ წაახუპნოთ და მოვარაყებულ ზიზილ-

*) ჩვენში მხოლოდ ეხლა ვამჩნევთ ინტელიგენციის გაპროლეტარების ნიშნებს, რადგან დიდი ხანი არაა, რაც ფეხი მოიკიდა თვით კაპიტალისტურმა წარმოებამაც, ხოლო იქ, სადაც ეს უკანასკნელი განვითარების უმაღლეს წერტილამდის არის მისული (მაგ. ევროპაში), იქ, ინტელიგენციის გაპროლეტარებაც უმაღლეს წერტილამდის არის ასული. ამის შესახებ საინტერესო სტატისტიკური ცნობები: მოყვანილი ჰენრი ბერანჟეს წერილში, რომელიც დაბეჭდილია «Revue des Revues»-ში 1898 წლისა. ჰ. ბერანჟე მარტო ციფრებს იძლევა საინტერესოს, ხოლო მისი ახსნა კი ინტელიგენციის გაპროლეტარებისა ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია. საყურადღებო წერილია აგრეთვე „Н. С.“-ში 1898 წ. წიგნი 9, „Интеллигентный пролетарій въ Италіи“. ამ წერილში საბუთიანათ არის აღნიშნული როგორ და რათ ვითარდება „სერთუკში გამოხვეული სისაწყლე-სიღარიბე“ ევროპაში საზოგადოთ და იტალიაში— კერძოთ.

პიპილებში გამოხვეული არ წარუდგინოთ საზოგადოებას. ავიღოთ მაგალითი. № კითხულობს მეცნიერებას, სადაც სწერია: სხვისი შრომის დასაკუთრება, სხვისი ოფლითა და მონაგრით არსებობა, ე. ი. ექსპლოატაცია დროებითი მოვლენაა. ადრეა, თუ გვიან აუცილებლათ უნდა განხორციელდეს მცნება: ოფლითა შენითა ჭამე პური შენიო. აქეთკენ არის მიმართული დღევანდელი საზოგადოებრივი განვითარება. № თვითონ ექსპლოატატორია და მას სახე ეღრუბლება ამ სტრიქონების წაკითხვაზე. როგორ დაიჯეროს, რომ მისი არსებობა უკვე ყინულზე არის დამყარებული და რაკი მზე თვის სხივებს მიმოაფენს არემარეს, ყინული დადნება და №-ც უფსკრულისაკენ დაქანდება!?. საკუთარი ფიქრი, გრძნობა, დედის რძესთან შეთვისებული შეხედულებანი რომ სულ წინააღმდეგს ჩასძახიან? არა, № უბრალო მომაკვდავია და მას არ ძალუძს მთელი თვისი სულიერი არსებობა ძირიანათ გადმოატრიალოს, მეორეთ დაიბადოს. ამიტომ იგი ვერა ხედავს თვალით ნახულს, მას არ ესმის ყურით ნასმენი. უკეთესს შემთხვევაში, თუნდაც რომ შეიგნოს სიმართლე, მაინც—სული ტკბილია—ყველა ღონეს იხმარს ქვეყანა დააჯეროს, რომ მისებური არსებობა თვით ადამიანის ბუნების მოთხოვნილებაა და ისეთივე აუცილებელ-შეურყეველია, როგორც პაგ., ვარსკვლავ-მთვარის ცის სივრცეში მიმოსვლა. ასეთი ქადაგებით თუ ისტორიის მსვლელობას ვერ შეაჩერებს, თავის სიცოცხლე მაინც ეგებ ორიოდე დღით გაახანგრძლივოს.

მეტი გონებრივი ძალ-ღონე მხოლოდ მაშინ არის უკეთესი იარაღი ჭეშმარიტების აღმოსაჩენათ თუ შესაგნებლათ, როცა ისეთ მოვლენებსა და საგნებთან გაქვს საქმე, რომელიც პირდაპირ არ შეეხებიან ჩვენს და ჩვენიანების არსებობას, მდგომარეობას. ამ მხრივაც ინტელიგენცია უკეთესს პირობებშია. ის პირდაპირ არა ღებულობს მონაწილეობას წარმოებაში, პირდაპირ არ არის დაინტერესებული ექსპლოატაციაში. მაგრამ ეს არ ითქმის ინტელიგენციის მთელს არისტოკრატიაზე. ამათგან რამოდენიმე ნაწილი, მაგ., ისენი, ვინც წარმოებაში ექსპლოატატორის მაგიერობას ეწევიან, ანუ კიდევ ის მწერლები, ჟურნალისტები, ვისაც ნარდათ თუ ნაწილ-ნაწილ მიუყიდიათ ექსპლოატატორებისითვის თავისი რწმენანი, შეხედულებანი, სწორეთ რომ პირდაპირ არიან დაინტერესებულნი ექსპლოატაციის არსებობაში.

ამგვარათ, არისტოკრატიული ინტელიგენციიდან მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს შეუძლიან შეითვისოს თანამედროვე მეცნიერების დასკვნანი, მხოლოდ ცალკ-ცალკე პიროვნებათ და არა მთელს ინტელიგენციის არისტოკრატიას შეუძლიანთ საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლა. ესენი არიან სახელდობრ ის პიროვნებანი, რომელთაც მათი პროფესია ნებას აძლევს პირუთვნელათ და მიუდგომლათ განიხილონ ხოლმე სოციალური მოვლენანი. თუმცა ამ შემთხვევაშიც ყველა დაბრკოლება არ არის თავიდან აცილებული. ხსენებული ინტელიგენტები ათასგვარი ნათესაური თუ საზოგადოებრივი კავშირით არიან შეერთებულნი ექსპლოატატორებთან.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ უკეთესი დრო, როცა ინტელიგენციას საზოგადოთ და ინტელიგენციის არისტოკრატიას კერძოთ უფრო ადვილათ შეუძლიან ჭეშმარიტების გზაზე დადგომა, არის ახალგაზდობის, სიჭაბუკის ხანა; ხანა, როდესაც მომავალ იტელიგენტს ჯერ სასწავლებლის სკამი არ დაუტოვებია, როცა ყველაფერი იდეალური, საგმირო საქმე ადამიანს გულის სიღრმემდის სწვდება და აღტაცება—ენტუზიაზმს იწვევს. ახალგაზდობისას ინტელიგენტი ჯერ ისევ თავისუფალი შვილია საზოგადოებისა—თუ შეიძლება ასე ვთქვათ; მას უფრო წიგნებთანა აქვს საქმე, ვინემ თვით ცხოვრებასთან და ამიტომ ჯერ არც ნივთიერ ინტერესებს გაუმრუდებიათ მისთვის სიმართლისა და მართლ-ხედვის სასწორი. მაგრამ ყველას ეცოდინება ეს ის მაგალითები, რომ ხშირათ მაღალი აზრებითა და იდეალებით აღტაცებულ ახალგაზდას, რაკი ცხოვრებაში გამოსულა და საკმართ დადარბაისლებულა, ურცხვათ წარბშეუხრელათ უღალატნია თავისი რწმენებისათვის. რომ ასეთი მეტამორფოზა (გარდაქმნა) არ მოხდეს, რომ ინტელიგენტმა „პრაკტიკულ საქმეებს“ არ ანაცვალოს სიჭაბუკის უკეთესი მისწრაფებანი და ირონიულის ღიმილით არ მოიგონოს ხოლმე „ბავშური გატაცებანი“, თუნდა მისი ნივთიერი ინტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდენ მის ახალგაზდობის რწმენათ, საჭიროა ამ უკანასკნელთა ღრმა, საფუძვლიანი შეთვისება-შესისხლხორცება, საჭიროა ამასთანავე მაგარი, განუდრეკელი ხასიათი.

ლ. დ.

მთავრობის განცხადება.

„კავკაზ“-ში დაბეჭდილია: „1903 წელს, 28 ივლისს, მე, თფილისის გუბერნატორმა, კავკასიის მთავარ-მართებლის მერ 1902 წელს 18 იანვარს გამოცემულ საგალდებულო დადგენილებათა ძალით, რომელიც წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დარღვევას შეეხება, დავადგინე: პოლიციის მოთხოვნილების შეუსრულებლობისა და ქუჩაში ყრილობების მოხდენისათვის დაპატიმრებულ იქმნენ:

ᲡᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ:

1) გოგოლაია სევასტა, 2) გარიბოვი გიორგი, 3) ავალიანი მინა, 4) გორდიშევი დავით, 5) მერაბოვი ბუღდან, 6) მაკარიოზა იანი და 7) სარქისოვი არშაკ.

დაპატიმრების ვადა ითვლება პირველ ორისთვის 24 ივლისის საღამოს 8 საათიდან, ხოლო დანარჩენთათვის—25 ივლისის საღამოს 8 საათიდან.

სხეა-და-სხვა ამბები

ამას წინეთ ტფილისის ოლქის სასამართლოს განსახილველათ გადაეცა საყურადღებო საქმე. 16 ივლისს ბათუმის ქუჩაზე (მეათე ნაწილი) ყაზახებისთვის სამსახურის ასრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა ბრალდებაში შემდეგ პირებს: ივანე მანდულაძეს, სელვან სტურუას, პავლე სტურუას, მიხეილ ბოტკოველს, სტეფანე ბონდარენკოს, ალექსი კახიძეს, ფიდო ნორაკიას, ვასილ სანაქოევს და ივანე ფედორენკოს. ეს საქმე ამ ახლო მომავალში გაირჩევა.

დიდი ხანია ლაპარაკობენ ამიერ-კავკასიაში საგლეხო ბანკის დაარსების შესახებ. როგორც „ცნ. ფურც.“ გაუგია, ახლა ეს საქმე საბოლოოთ გადაუწყვეტიათ. ბანკი მომავალ წლიდან დაარსდება ტფილისში. პირველ ხანს, ბანკის გამგეობა მიენდობა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგეს ბ ნ შულგინს, ფიქრობენ აგრეთვე სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილების გაფართოვებას და შტატის გადიდებას.

ქართლ-კახეთის გლეხობა საკუთარი ტყის უქონლობის გამო სახელმწიფო ტყეს ხმარობს. მაგრამ ბაჟების გადახდა მეტად უძნელდებათ და ვალიანდებიან. ამ ჟამათ ტყის დარჩენილი გადასახადი სოფლებზე აუარებელია. მარტო ტფილისის გუბერნიაში ასეთი გადასახადი ტყის მოჭრისათვის 100,000 მანათია. ეს ფული უმთავრესათ ჯარიმებისგან შესდგა.

ტფილისის თვითმართველობამ, ამას წინეთ პრინციპიალურათ გადასწყვიტა გამართოს ხორცის დუქანი ქალაქის ყველა ნაწილში- 28 ივლისს კომისიამ განიხილა დიდუბელების მოხსენება ხორცის დუქნის დაარსების შესახებ დიდუბეშიაც. დიდუბელები სწერენ, რომ ეს კუთხე მეტათ მოწყვეტილია ქალაქის შუაგულს და მცხოვრებნი ვერ სარგებლობენ ქალაქის დუქნებითო. კომისიამ დაადგინა, შეუდგეს ეხლავე დიდუბეში ხორცის დუქნის გამართვის. კომისიამ დაადგინა აგრეთვე, განცხადება დაგზავნოს გაზეთებში იმათ საყურადღებოთ, ვისაც სურს დიდუბისაკენ დაუთმოს სახლი ქალაქს დუქნისთვის.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: „კბილები და მათი მოვლა-შენახვა“ საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის ᲗᲐ. თ. ფედოროვისა, ოარგმანი კბილის ექიმის ი. ᲗᲐ. ახალშენიშვილისა. გამოცემა კ. ჯ—სა. ტექსტში 7 ნახატია მოთავსებული. წიგნში 124 გვერდია და ღირს 40 კაპ. წიგნი სუფთათ არის გამოცემული.

როგორც ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის ანგარიშიდან სჩანს, წასულ სამოსწავლო წელს ქალაქს ᲰᲥᲝᲜᲘᲐ 18 სასწავლებელი. სადაც სამოსწავლო წლის დამდეგს ყოფილა 1997 მოსწავლე, ხოლო წლის დამლევს 2130 მოსწავლე. ვაჟი ყოფილა 1392 და ქალი 738. ეროვნობით მოსწავლენი ასე განაწილდებიან: რუსი იყო 840, სომეხი—683. ქართველი—550, თათარი—39, ებრაელი—6 და სხვა ეროვნებისა—12. წოდებით: თავად-აზნაური—102, მოქალაქე—1159, გლეხი—824, სასულიერო წოდებისა—36 და სხვა 9. სწავლა დაუსრულებია 304 მოსწავლეს.

როგორც „ნოვ. ვრემია“ სწერს, ყარსის ოლქში ოქროს მდიდარი მადნები აღმოუჩენიათ. გაზეთისთვის ეს უამბნია ამიერ კავკასიიდან პეტერბურგში ჩასულ ოქროს მწარმოელს ი. ს. კაფარენს. ოქრო ყოფილა ყაგიზმანის ოლქში, ოსმაღლეთის საზღვრის ახლოპლათ მდინარის ზარაფხან-სუს ხეობაში. უწინ აქ დიდი მადნები ყოფილა და მუშაობაც ქონიათ. ახლაც ეტყობა თურმე რამდენისამე ვერსის მანძილზე გათხრილი გვირაბები და გილერეიები. ბ-ნ კაფარენს ოქრო ქვიშაში უნახავს. ამ ადგილების დამუშავების ნება უკვე აუღიათ ხსენებულ კაფარენს, სამთო ინჟ. შოსტაკს. ა. ი. მანთაშევს და სხვას.

ჩაის კულტურა ნელ ნელა ვრცელდება ქუთაისის გუბერნიაში. როგორც აგრონომის ტიმოფეევის ანგარიშიდან სჩანს, ჩაი გაუშენებიათ სენაკის მაზრაში: სალხინოს, კოტიანეთს და ძველ სენაკს; ზუგდიდის მაზრაში: ხეთას და ცაიშს. საჭიროა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ მეტი ყურადღება მიაქციონ ჩაის გაშენებას, რადგან ჩაი ყველა სხვა სასარგებლო მცენარეზე შემოსავლიანია. ერთი დესეტინა ჩაი იძლევა 360-დან 480 მანეთამდე.

მარტო ერთ ქუთაისის გუბერნიაში 7 მეორე ხარისხის (საიდანაც მასწავლებელნი გამოდიან წერა-კითხვის სკოლებისათვის) სამრევლო საეკლესიო სკოლა ყოფილა. ქართლ-კახეთის ეპარქიის ᲮᲣᲗ გუბერნიაში კი ასეთი სკოლა ორია მხოლოდ—ტირძნისსა (ვაჟებისათვის). და ბოდბისხევში ქალებისთვის. ამის გამო აპირობენ შუამდგომლობა აღძრან, რომ ასეთი სკოლები დაარსდეს ბაქოს გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც რუსები არიან დასახლებულნი რა ყარსის გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც ბერძნები სცხოვრობენ.

წერილი ხონიდან.

შარშანდელი და წლევანდელი ზაფხულის ცხოვრება ზაფხულის კრებები. საზოგადო მოღვაწეობის მარალობელ-ლების მორალი.—

ძალაუნებურათ მებადება შედარება წლევანდელი და შარშანდელი ზაფხულის. შარშან ზაფხულში საზოგადო ცხოვრებას მეტი სიფხიზლე ემჩნეოდა: ხშირათ იდგმებოდა წარმოდგენები, იმართებოდა მასწავლებელთა კრებები სხვადასხვა საჭირ-ბოროტო კითხვების გარდასაწყვეტათ; მთელი ხონის საზოგადოება ამაზე ლაპარაკობდა და ბევრი სხვადასხვა აზრებიც გამოითქვა,—ერთი სიტყვით საზოგადო ცხოვრების მაჯა აჩქარებულათ სცემდა. წელს? წელს კი ცხოვრება მიყუჩებულია, თითქო უნდოდეს დაანახვოს ყველას, რომ შარშანდელი ცხოვრების აჩქარებული მაჯის ცემა ხელოვნურათ იყო გამოწვეული, თორემ რა ჩვენი საქმეა საჭირბოროტო კითხვებისათვის თავის ტეხაო. თეატრის კომიტეტი არ მუშაობს, წარმოდგენა ორჯერაც არ გამართულა და კრების გამართვის ფიქიც კი ბევრს შიშის ქარს გვრის...

მაგრამ წელს, თუ ზაფხულში არა, ზაფხულამდი მაინც იყო ბარე ორი-სამი საგულისხმიერო კრებები: 1, საურთიერთო კრედიტის საზოგადოების, 2, შემნახველ-გამსესხებელი ბანკის და 3, მირაბის არჩევნები.

პირველ კრებაზე საინტერესო იყო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მორალი: მე მომეცით დიდი ჯამაგირი, რადგან, ერთი რომ საქმე ჩემი დაწყებულია, მეორე—იმიტომ რომ ექიმი ვარ, ჩემი ბანკში გაცდენა მე მეტს (ვინემ სხვა ჩემ თანაშემწეთ გამგეობის წევრებთ) შემოსავალს მომაკლებს და მაშასადამე იმათზე ბევრათ მეტი უნდა მიზღოთო. საზოგადოებაც დასთანხმდა; ისიც ამნაირივე მორალის მოთაყვანე ყოფილა.

მეორე ბანკის კრება კიდევ უფრო საგულისხმიერო იყო: ამ ბანკის გამგე-მმართველი ბ. ევგ. ქუთათელაძეა. როგორც აღმოჩნდა კრებაზე, ბანკი წინ მსვლელობის მაგიერათ უკან-უკან მიდის. წევრები აკლდება და საზოგადოება ძალიან უნდობლათ ეკიდება. ბანკის ამგვარ დაქვეითებას საზოგადოება აბრალებს მმართველს და მოინდომეს მისი გამოცვლა. მაგრამ რადგანაც მისი არჩევნები წელს არ იყო და რადგანაც მეტი ვერ მოახერხეს, საზოგადოებამ ხარჯს დაუკლო, ჯამაგირები ყველა მოსამსახურეებს შეუმცირა და მმართველსაც 400 მანეთი 200-ზე დაუყენეს. მაგრამ კრების შემდეგ რამდენიმე კვირემ გაიარა და შევიტყვეთ, რაღაც მიზეზების გამო კრება უკანონოთ იქნა ცნობილიო და ხელ-ახალი კრება უნდა მოხდესო. მას აქეთ გაიარა ივნისმა, აგერ ივლისიც გათავდა და მეორეთ კრება არ იქნა და არა. მაშასადამე დარჩა ბანკი ისევ წინანდელ პირობებში და მისი მოხელეებიც წინანდელ ჯამაგირებში. აგრე უნდა მოხერხება!

მირაბის არჩევნები მოხდა ბატონი ნიკო ნიკოლაძის თავმჯდომარეობით. ამ არჩევნებში იღებდენ მონაწილეობას ხონის, საწულუკიძოს, ჯიხაიშისა და იანეთის საზოგადოებები. კრებაზე საქმეები წყდებოდა უბრალო ხმის უმეტესობით. ამ ამან ძლიერ ასარგებლა მირაბი,—იმას წინდახედულათ ყველა მყვირალა პირები თავისკენ გადაეყვანა. უმცირესობა თანდ[illegible]ლობდა მირაბის არჩევნებისთვის მაინც ყუთის დადგმას და წევრების არა წევრებისაგან გარჩევას. ეს უკანასკნელი მოთხოვნილება იმან გამოიწვია, რომ მოწინააღმდეგენი უმთავრესათ შესდგებოდა გარეშე სოფლელებისაგან, საიდან თუმცაღა ცოტა მოვიდენ, მაგრამ თითქმის ყველას დარჩენილებისაგან ექვილობები ქონდათ. ხონელების უმრავლესობა [illegible]ბისკენ იყვენ და ა[illegible] სწორეთ ამათში

ერია ბევრი არა წევრები. თავმჯდომარე რამდენჯერმე დაეკითხა ხალხს, გინდათ თუ არა ყუთიო, მაგრამ უმრავლესობამ არც იცოდა ყუთის მნიშვნელობა და ყვირილით უპასუხებდენ, არა, არ გვინდაო! უმცირესობის მეორე შენიშვნას თავმჯდომარემ ყურადღება არ მიაქცია, თუმცაღა არ ვიცი, რა გარანტია ქონდა იმისი, რომ მარტო წევრები იღებდენ მონაწილეობას არჩევნებში. გავიგე ვიღაცას გაუგზავნია საჩივარი რომ არჩევნები ზევით მოყვანილ მიზეზის გამო კანონიერი არ იყოვო და მთავრობას აქაურ ბოქაულისთვის მიუნდვია გამოძიება. იმის დამტკიცება, რომ არა წევრები არ ყვიროდენ კრებაზე (და იქ ხომ ყველაფერი ყვირილით კეთდებოდა) ჩემის ფიქრით შეუძლებელია. მაშასადამე საჩივარი გამართლდება და არჩევნები ხელ ახლა უნდა დაინიშნოს. ვნახოთ!

მაგრამ, როგორც ამ უკანასკნელ კრებაზე, ისე ბევრ სხვა წინანდელ კრებებზედაც, ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება: ეს არის ხონელების მორალურათ დაქვეითება.

ხშირათ შევხვედრივარ ხოლმე ლაპარაკს: ის კაცი კარგ ადგილში ჩავარდა—ბევრი „ჩამორჩენა“ აქვს. აქ ყველა მსმენელი დიდის პატივისცემით და ქებით იხსენიებს „მოხერხებულ“ კაცს; არავინ არ გრძნობს იმას, თუ რას ნიშნავს ნამდვილათ სიტყვა „ჩამორჩენა“. ამგვარი მოხერხებული კაცი, ან ქრთამს უნდა იღებდეს, ან სხვისს შრომის ფას უკვეცავდეს და თვითონ ითვისებდეს. ორივე შემთხვევაში იმის საქციელი საზარელი, გასაკიცხია, მაგრამ ცხოვრებამ ისე შეაჩვია ჩვენი ხალხი ამას, რომ ეს სიტყვა საქებური შეიქნა.

როგორც ყოველგან, აქაც არჩევნების წინა დღეებში აგიტაცია ხდება. უნდა ადევნოთ თვალყური ამ აგიტატორებს, როგორი მორალით ხელმძღვანელობენ. ერთი, ძველი წარმომადგენლის მომხრე, ქადაგობს:—„კაცო, რაღა ახალს ვეძებთ, რათ უნდა ვცადოთ ბედი; ამ კაცს თუ არაფერა გაუკეთებია, არც წაუხდენია მაინც და მაინც არაფერი, საქმე როგორღაცაა მიღოღავს. რაღა ამას გამოვტაცოთ „ლუკმა“ და სხვას, შეიძლება უარესს, მივცეთო; რაც უნდა იყოს ეს დამსახურებული კაცია—დავუთმოთ ცოტა ხანს კიდევ „პური საჭმელათო“.

სხვები, მოპირდაპირეები ქადაგობენ: „რაა სულ ერთმა და იგივე კაცმა „ჭამოს“, ახლა სხვამაც შინჯოს; ორ-სამ წელიწადს დავაცლით და ამასაც გამოვცვლით—სხვას დავაყენებთ; ყველას უნდა ერგოს“.

ხედავ, მკითხველო! აქ იმას კი არ ეძებენ, თუ ვინ უკეთ წაიყვანს საქმეს; არა, პირველები ამბობენ მგელს დავაცალოთ ჭამაო,—ალბათ მოელიან ნასუფრალს; მეორენი ამბობენ ყველას ერგოს ცოტ-ცოტაო, რომ უმადური არავინ იქნეს.

შეგნებული ინტელიგენცია, რომელიც მოწამეა ამის, რას შვრება? რას და... სარგებლობს ამნაირი საზოგადო მორალით.

სირიუსი.

რუსეთის ცხოვრება

*** გაზ. «С.-Пет. Вѣд.» მოთავსებულია რამდენიმე ადგილი სახელმწიფო ბანკის 1901 წლის ანგარიშიდან. მოგვყავს იქიდან ზოგიერთი საინტერესო ციფრები: ამ წელს, როგორც წინეთ, ბანკის მოქმედება სწარმოებდა ევროპის რუსეთის და კავკასიის 51 გუბერნიასა და 3 ოლქში, ქონდა 26 განყოფილება, იმათგან 23 შეერთებული ყოფილა სახელმწიფო საგლეხო ბანკთან, სამი კი (კიევის, ამიერ კავკასიის და სმოლენსკის) შეუერთებელი. სესხი გაუტანია 2,140 მსურველთაგან 1,818-ს, (უარი უთქვამთ 322-თვის) 83,975,900 მანეთის, გირაოთ წარუდგენიათ 1,680,680 დეს. მიწა, ღირებული 148,215,292 მან. მაშ დესეტინა მიწა ღირებულა 88 მან., რაც 1896 წელთან შედარებით მეტია 25 მან. მეტს დესეტინაზე, ან თითქმის 40% (1896 წ. დესეტინა ღირდა 63 მან.). როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს მიწის ფასს ყველაზე უფრო უმატნია პოლტავის და ხარკოვის გუბერნიებში.

საინტერესოა ციფრები 1901 წელს ახალ მესაკუთრეების შესახებ. აი ეს ციფრებიც:

	მამული	დესეტინა	ღირებ. მან.
აზნ. ხელში გადასულა:	718	545,028,5	21,901,900
გლეხების „	436	74,312,6	3,395,500
„რაზნოჩინცების“ „	178	92,774,5	3,994,700
ვაჭრების „	99	104,281,7	3,422,300.

როგორც ვხედავთ დაგირავებული მიწის მხოლოდ 48 პროცენტი შერჩენია ისევ თავადაზნაურობას, დანარჩენი მიწა კი გლეხების და სხვა კლასების ხელში გადასულა. მართალია ადგილ მამულის შეძენა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც თანხა მოეპოვება, გლეხი იქნება ის თუ ვაჭარი, ე. ი. ვინც შეძლებულია. ამაში რასაკვირველია არავითარი მონაწილეობა არა აქვს მშრომელთა უმრავლესობას, რომელიც დღიური ქირით ირჩენს თავს. მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ის გარემოება, რომ იმავე ბანკის წყალობით, რომელიც მხსნელ ანგელოზათ უნდა გამოჩენოდა ბრწყინვალე წოდებას, მას ეცლება ხელიდან მამული და სხვის ხელში გადადის.

*** ოდესაში გემების საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება შესდგა, რომელსაც მიზნათ ქონდა მატროსების და კაჩეგრების მდგომარეობის გაუმჯობესება. გადაუწყვეტიათ მოუმატონ 9 მ. 50 კაპეიკამდის იმ ფულს, რომელიც საკვებათ ეძლეოდათ ავათმყოფ მოსამსახურეთ. საზოგადოებანი თავის ხარჯით უწამლებენ და შეინახავენ მათ საავათმყოფოებში: რუსეთში—სამის და საზღვარგარეთ—ორის თვის განმავლობაში. საქონლის მტვირთველთ მოემატებათ ყოველ 1000 ფუთ საქონელზე 5 მანათი. უმთავრესი საკითხი—ჯამაგირის მომატების და შტატების გაძლიერების შესახებ—ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტელია. უკანასკნელ საკითხს სავაჭრო ზღვაოსნობის გამგეობა განიხილავს.

*** მოგილევის გუბერნატორს შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოუცია ქ. გომელისა და მოგილევისთვის სახელოსნოებში სამუშაო დროის შესახებ. 1) ყოველ სახელოსნოში გამოჩენილ ადგილზე უნდა იყოს გაკრული განცხადება, სადაც აღნიშნული უნდა იქნეს, რომელ საათზე იწყება და რომელზე თავდება მუშაობა; აგრეთვე დასასვენებელი დრო; მუშები 10 საათზე მეტს არ უნდა ამუშაონ. 2) ყველა სახელოსნოთა პატრონებმა უნდა იქონიონ მუშების სია, სადაც აღნიშნავენ, რომელ დღეს მიიღეს ან დაითხოვეს თვითეული მათგანი. ვინც ამ წესს არ ასრულებს დასჯილი იქნება 500 მან ჯარიმით ან 3 თვით დაპატიმრებით.

*** «კნიჟ. ვესტ.»-ის ცნობით, ყველაზე მეტი პერიოდული გამოცემა პეტერბურგში გამოდის—369, მოსკოვში—132, ვარშავაში—127, რიგაში—42, კიევში—33, ტფილისში—31 და ოდესაში—30.

*** «კიევ. იზვ.» გადმოგვცემს, რომ კიევის გუბერნიიდან ებრაელები ამ ბოლო ხანს ხშირათ სტოვებენ შეჩვეულ ადგილს და ამერიკისაკენ მიემგზავრებიან. ისე კვირა არ გაივლის, რომ ორი-სამი ოჯახი არ აიყაროს და არ გადასახლდეს. ყიდიან ყველაფერს, რაც გააჩნიათ, თითქმის ჩალის ფასათ. მიდიან წვრილი მოხელეები, უსაქმოთ დარჩენილნიც, რომ იქ ახალ ქვეყანაში, სადაც მათი გარდასახლებული ამხანაგების სიტყვით, ბედნიერება სუფევს, ლუკმა პური მოიპოვონ და პატიოსან შრომით იცხოვრონ. მათ გადასახლებაზე უეჭველია გავლენა აქვს იმასაც, რომ ჩვენში ებრაელები

სრულიად არ არიან კანონით უზრუნველ-ყოფილნი, წინააღმდეგ უველა ერზე გაცილებით მეტ შეგვწრეგებს ითმენენ.

ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲪᲔᲒᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲕᲠᲐ ᲡᲔᲜᲐᲢᲨᲘ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲩᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲝᲜ ᲠᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲕᲐᲗᲛᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲗᲐ ᲥᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲨᲔᲡᲬᲐᲛ, ᲒᲐᲖᲗᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲡᲒᲨᲘ ᲔᲑᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲖᲔ ᲗᲐᲕᲒ-ᲓᲐᲡᲬᲠᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲐᲡᲣᲤᲔᲡ ᲡᲐᲛᲡᲬᲠᲘᲡᲐᲜ.

«ᲘᲣᲤᲠ. ᲠᲝᲡ.»-ᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲔᲜᲙᲕᲘᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ: ᲠᲐᲓᲒᲐᲜ Ქ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲨᲘ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲗᲝᲚ ᲕᲪᲮᲝᲚᲓᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲫᲘᲚᲔᲣᲚᲘᲐ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲣᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲝᲢᲣᲐᲠᲔᲑᲖᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐ. ᲐᲚᲐᲣᲗᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲣᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲚᲝᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲣᲙᲘᲔᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲝᲑᲐ ᲛᲝᲐᲗᲮᲝᲕᲡ. ᲛᲐᲓᲐᲖᲘᲔᲑᲘ, ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲙᲠᲝᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲥᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲗ ᲕᲐᲙᲠᲝᲑᲔᲑ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲥᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲗ ᲕᲐᲙᲠᲝᲑᲔᲑ ᲓᲐᲘᲡᲯᲔᲑᲘᲐᲜ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲬᲘᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ.

«ᲞᲠᲐᲕᲘᲢᲔᲚᲡᲢᲕᲔᲜ. ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙ.»-ᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ 23 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲓᲐ ᲘᲛᲘᲗ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗ. ᲜᲐᲡᲐᲓᲘᲜᲓᲔᲒᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲗᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲐᲗ. ᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲣᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲣᲠᲗᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ. ᲡᲣᲚ 2 ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲝᲐᲕᲘᲝᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲛᲝᲐᲪᲒᲕᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲘᲜᲓᲐᲒᲘ, ᲐᲠ ᲓᲐᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐ ᲮᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲗᲝᲠᲒᲜᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ. ᲯᲐᲠᲔᲑᲡ ᲔᲑᲠᲫᲐᲜᲐᲗ, ᲙᲐᲣᲭᲐᲜᲢᲐᲗ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲐᲘᲪ ᲐᲡᲚᲠᲣᲚᲓᲣᲡ ᲙᲘᲔᲚᲔᲪ. ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲮᲛᲐᲠᲘᲗᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲣᲨᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ; ᲓᲐᲨᲐᲕᲓᲐ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲥᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲗᲘᲜᲐ-ᲨᲔᲕᲬᲔ ᲖᲐᲕᲐᲓᲡᲯᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ. ᲯᲐᲠᲡ ᲔᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲐᲗ. ᲝᲠᲯᲔᲚ ᲔᲡᲠᲝᲚᲔᲡ ᲗᲝᲗᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ. ᲛᲝᲚᲔᲣᲚᲘᲐ 3 ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ 27. ᲒᲐᲗᲘᲪᲒᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ 15 ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ

ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ: ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲙᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲧᲝ. ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲘᲭᲘᲜᲐ ᲨᲔᲬᲣᲓᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲮᲕᲜᲐ-ᲗᲔᲡᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲩᲝ-ᲡᲐᲑᲐᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ. ᲠᲐᲒᲘ ᲛᲝᲬᲕᲐ ᲒᲐᲗᲕᲓᲔᲑᲐ, ᲣᲗᲛᲔᲓᲡᲐᲪ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ, ᲗᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲬᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝᲑᲐᲪ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲘᲧᲝᲗᲥᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲗᲐᲪ, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲬᲘᲜᲔᲗᲝ. ᲛᲐᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲔᲒᲠᲝᲞᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲠᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲝᲡᲘᲠ. ᲠᲝᲛ ᲔᲒᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲮᲠᲗᲖᲔ ᲒᲐᲕᲒᲚᲔᲜᲐ ᲕᲘᲐᲥᲝᲠᲘᲗᲝᲗ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲒᲮᲕᲜᲘᲗ ᲔᲒᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲯᲔᲜᲢ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲔᲒᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ. ᲡᲐᲗᲣᲠᲜᲒᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝᲑᲐ ᲛᲝᲚᲓᲕᲐᲩᲔ ᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲘᲒᲕᲬᲕᲓᲘᲗ ᲔᲒᲠᲝᲞᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲬᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲐᲛᲔᲑᲘᲡ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲬᲧᲕᲔᲢᲔᲗ ᲗᲕᲠᲜᲒᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲒᲣᲨᲕᲐᲗ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲔᲑᲘᲗ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘ ᲛᲮᲔᲪᲣᲠ ᲡᲘᲡᲮᲡᲢᲔᲙᲔᲡ ᲘᲩᲔᲜᲡ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲔᲢᲗᲐᲗ ᲐᲓᲔᲚᲕᲔᲑᲣᲚᲐ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲕᲘᲚᲐᲘᲔᲗᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲒᲔ ᲘᲛᲔᲠᲗᲝᲕᲔᲑᲣᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲮᲡᲜᲐ ᲓᲐᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲠᲗᲝᲗ ᲐᲯᲐᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲔᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ 20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲗ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲕᲔᲚᲐ ᲥᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲨᲘᲪ ᲐᲐᲤᲣᲗᲥᲝᲗ ᲣᲣᲛᲑᲠᲔᲑᲘᲗ. ᲣᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲔᲮᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲜ.

ᲐᲛ ᲮᲜᲐᲗ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲠᲩᲣᲚ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ ᲖᲝᲒᲘ ᲕᲘᲓᲐᲘᲔᲢᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲑᲣᲒᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲗᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲓᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲖᲗᲝᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ, ᲗᲮᲝᲕᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲛᲮᲔᲪᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲔᲜᲗᲐ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ.

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡᲙᲘ ᲑᲣᲒᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲓᲒᲐᲠᲔᲚ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲗ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲚᲓ, ᲓᲐᲠᲯᲐᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐ ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲛ ᲮᲐᲓᲘᲛᲛ ᲓᲐᲬᲣᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲚᲐᲛᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲐ. ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ ᲔᲢᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲡ ᲓᲐᲣᲬᲔᲝ ᲓᲐᲡᲕᲐᲠᲐᲙᲘ. ᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲐᲡᲕᲐᲠᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ ᲗᲝᲗᲝᲗᲘ ᲔᲡᲠᲝᲚᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲓᲘᲗ ᲢᲕᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲜᲗᲮᲕᲔᲜᲘᲡ. ᲛᲝᲪᲕᲘᲕᲔᲓᲔᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲔᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲛᲡᲜᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲠᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲪᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲔᲜᲗᲐ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ.

ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲡᲙᲘᲣᲑᲘᲡ ᲕᲘᲓᲐᲘᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲗᲕᲔᲗᲥᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ. ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲔᲓᲕᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲘᲐᲠᲐᲚᲓᲘᲡ ᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲗᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔᲗ ᲨᲔᲣᲣᲠᲗᲓᲔᲡ. ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲮᲠᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔᲗ ᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲛᲐᲒᲗᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲒᲠᲘᲐᲡ 14 ᲮᲘᲓᲘ. ᲮᲚᲝ-ᲛᲮᲚᲝ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲓᲘᲡ ᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ, ᲡᲣᲚ ᲣᲕᲔᲚᲮᲘ ᲛᲝᲗᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲥᲪᲔᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲣᲠᲝᲓᲔᲜ. ᲡᲘᲠᲝᲚᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲮᲓᲐ ᲓᲐ 6 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ. 46 ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘᲐ. ᲢᲠᲔᲜᲘᲨᲢᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲨᲝᲕᲘᲨᲢᲐᲨᲘᲐᲪ ᲛᲮᲓᲐ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ. ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘᲐ 18 ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔ, ᲗᲐᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲐᲓᲐᲚᲘ. ᲓᲘᲠᲯᲨᲘ ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ 200 ᲯᲐᲠᲘᲡ-ᲙᲐᲪᲘ. ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔᲗᲗ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲕᲐᲗ 5 ᲡᲮᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲣᲡᲚᲣᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲘᲓᲔᲜ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔᲗᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲓᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲑᲓᲔᲜ. ᲨᲝᲠᲢᲐ ᲓᲦᲘᲗᲘ-ᲓᲦᲔ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲓᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲖᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡᲔᲕ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲣᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲓᲘᲡ. Ქ. ᲑᲘᲢᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲘᲪᲐᲕᲡ. ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲣᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡᲖᲔ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲖᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲮᲝᲪᲐᲕᲔᲜᲗ. ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲝᲐᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲐᲓᲘᲐᲠᲔᲑᲡ, ᲑᲔᲕᲠᲗᲐ ᲣᲤᲝᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲑᲠᲗᲔᲜᲘ ᲑᲔᲕᲠᲗᲐᲗ ᲣᲤᲝᲠᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ, ᲕᲘᲜᲔᲛ ᲬᲘᲜᲔᲗᲝ, ᲓᲐᲕᲬᲣᲡᲐᲠᲔᲑᲐᲛᲓᲘᲡ. ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲘᲡ ᲕᲘᲓᲐᲘᲔᲢᲨᲘ 16-ᲛᲓᲔ ᲑᲝᲚᲓᲒᲐᲠᲔᲓᲘ ᲩᲔᲢᲐ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲛᲔᲐᲛᲑᲮᲔᲗᲗᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲣᲠᲔᲓᲐᲗ. ᲪᲮᲚᲓᲘᲐ ᲓᲘᲓ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲓᲝᲓᲔᲗ.

ᲭᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲣᲤᲠᲐ

(ᲤᲐᲠᲡᲘ-ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ)

(ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ. ᲘᲮ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ № 26)

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲬᲚᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ.

ᲘᲒᲘᲜᲘᲒᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲚᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲢᲠᲘᲙᲐ.

ᲒᲘᲡᲐ. (ᲬᲐᲣᲬᲡ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲓᲒᲔᲑᲐ) ᲐᲘ ᲐᲮᲚᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲠᲝᲓᲒᲝᲠ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ ᲘᲡᲔ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓ ᲩᲣᲛᲐᲗ, ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓ ᲮᲛᲐ-ᲛᲐᲦᲚᲐ (ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ).

ᲕᲔᲪᲠᲔ. (ᲢᲐᲣᲨᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲠᲐᲕᲡ) ᲑᲠᲐᲕᲝ! ᲑᲠᲐᲕᲝ! ᲘᲪᲘᲗ, ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲝ, ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ? ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲛᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲪᲓᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲗᲐᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲧᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲒᲓᲔᲗ...

ᲒᲘᲡᲐ. ᲐᲠᲐ ᲯᲔᲠ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲘᲒᲓᲔᲗ ᲧᲣᲠᲘ, ᲛᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲕᲐᲗᲐᲕᲔ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო. თუ მაგაზე მიდგა ჯერი, ისტორია ყველაზე უხუცესია და მაშასადამე საპატიო, მე ერეკლე მეფეზე მაქვს ლაპარაკი.

პეტრე. დიდებულმა ზოლამ დაჩრდილა ისტორია და ისტორიკოსნი, ვიღა კითხულობს ახლა ისტორიას?!

ვასო. ცხოვრებაში რასაც მეტ პოეზიას შეიტან, მით იგი უფრო კეთილშობილდება, ზილფოვანდება, იწმინდება! დიდებული ბაირონი, გიოტე, ჰეინე უპირველესი საპატიო პირნი არიან კაცობრიობაში.

პეტრე. მაინც და მაინც ასე არ შეიძლება, ჩვენ, მეგობრებო, თუმცა სხვა-და-სხვი დარგს ვემსახურებით, მაგრამ ერთსა და იმავე საქმეს კი. მე ვარ ბელეტრისტი, შენ პოეტი, ეს ისტორიკოსი, ერთი სიტყვით სამივე თანამეკალმე მეგობარნი და მაშასადამე უნდა პატივი ვცეთ ერთმანეთს. თქვენ წელან ძაან გააჯავრეთ ერთმანეთი, კრიტიკა კი მიუდგომელი უნდა იყოს, ამიტომ ვიდრე წავიკითხავდეთ, გთხოვთ შერიგდეთ.

ვასო. პოეტისთვის სირცხვილია შურისძიება, თორემ მე ვიცოდი რასაც...

ნიკო. ისტორიკოსი წყნარი, მშვიდი და დინჯი უნდა იყოს, ვინაიდან თვით ისტორიას არ უყვარს არეული ნაბიჯით ტარება; ამიტომ მე ახლა მრცხვენიან, მეგობარნო, რო ასე შეურაცხვყავ თქვენი კი არა, ისტორიკოსის სახელი!

ვასო. მომეცი, მეგობარო ხელი და გავათავოთ, დავივიწყოთ (ართმევს ხელს). აი წაგიკითხოთ ჩემი ლექსი, რა ნაზი გრძნობებით არის სავსე!

პეტრე. ყმაწვილებო, რადგანაც ბელეტრისტს, პოეტსა და ისტორიკოსის შორის შუათანა ადგილი უჭირავს, რასაკვირველია, გრძნობათა მიხედვით, ამიტომ გთხოვთ, მე დამითმოთ პირველობა.

ნიკო. მაგას მე არ ვიზამ, ისტორიას შეურაცხყოფას ვერ მივაყენებ! წავიკითხავ მე... აი...

ვასო. ახ, ბაირონ, ნეტავი კი ეხლა წამოგახედა, როგორ დასჭყივლებდი ამათ თავზე!

პეტრე. კაცო, რა არის რო დამითმოთ, წელან არა სთქვით, რო ისტორიკოსი მომთმინოა და პოეტი კი ნაზი და თავაზიანიო?!

ნიკო. ეგ მართალია, მაგრამ ყველას თავისი ადგილი უნდა ეჭიროს! რა არის ზოლა? არაფერი! მე კი წარსული აღვადგინე!

ვასო. შენ მკვდრებზე უნდა გველაპარაკო, მე კი ცოცხლებზე, შენ... შენ დახავსებულ დროზე (ხმა მაღლა). მე კი.. მე ადამიანის ოკვდავ, უზენაეს გრძნობებზე... დამიგდეთ ყური!

ნიკო. არ დაგიგდებთ და ვნახოთ ერთი!

პეტრე. დაწყნარდით, ეხლა არ იყო რო შერიგდით? იცით რა? მოდით წილი ვყაროთ!

ნიკო და ვასო. ვყაროთ... ვყაროთ!..

პეტრე. აბა ვინ გაწყრება? (ამდროს შემოდის ლადო, იღლიაში პური, ძეხვი და არაყი უჭირავს).

ლადო. მე! მაგრამ გასამრჯელოში თუ ღმერთი გწამთ თითო სტრიქონი მაინც მაჩუქეთ თქვენის ტვინის ნაფლეთებისა! (აწყობს სტოლზე).

ნიკო. კარგია, გეყოფა მასხარაობა, მოიცა ჯერ ჩვენც შენს იშტაზე მოვიდეთ და მერე ისე იხუმრე.

ვასო. (შუბლზე ხელს იდებს)ოხ, მართლა ისე ამტკივა თავი იმ ოხერმა „ვდოხნოვენიემ“, რომ ლამის ტვინი გარეთ გამოიღვაროს!

პეტრე. რა დროს ეგენია, ვყაროთ წილი და წავიკითხოთ!

ლადო. (სჭამს) იცით, ყმაწვილებო, ვინც თქვენგანმა ყველაზე წინ დაიძახოს ყიყლიყო, ის იყოს პირველი... აბა ჰა! ერთი, ორი, სამი! (ყვირიან სამივენი ყიყლიყოს).

ვასო. ყველაზე წინ ჩემი იყო!

ლადო. მართალია ბაირონმა აჯობა ჰომეროსს და ზოლას (იღებს ჭიქას. ყველანი გამოვლენ წინ სცენაზე).

ვასო. ლექსს სათაური ჯერ არა აქვს, იმიტომ რომ არც მინდა ჰქონდეს, მე არ მინდა ჯერ-ჯერობით გამოვაქვეყნო ჩემი გულის თაიგული. აბა სმენა იყოს! (წინ წამოდგება, ხელების შლით კითხულობს).

> ჩემო ანგელოზოვო
> და ჩემო ლამაზოვო,
> გულისათვის იამზე
> შუბლისათვის მაზოვო!
> მუშკამბარი, ყვავილი,
> ზამბახი, მინდორი,
> ყველა თავ შემოგევლოს
> ალაზანი, იორი,
> მოდი ერთი მაკოცე...
> ფეხები და ტუჩები...

აქ ყმაწვილებო, მე სხვა მინდოდა, მაგრამ „ქუჩები“ ეწყობა... ჰო

> ფეხები, ტუჩები, ქუჩები,
> თუ შენ მე მიღალატე
> საფლავს არ გადვურჩები!

გავათავე. ვაწერ: ვასო ქარქარაძე.

ლადო. ვა, ვა, ვა, რა კარგია და! ბიჭო თუ ღმერთი გწამს ერთი მაგისთანა ჩემს სონა-ბაჯისაც დაუწერე! ნიჭი გაქვს, ნიჭი! (თავზე ხელს უსვამს) ცარიელი გოგრაა, გოგრა! მომავალი შენია, ბაირონს ორი ვერსით უკან დასწევ!

ვასო. შენ თუ არ იმასხარავე, არ შეიძლება!

ნიკო. (ჩაფიქრების შემდეგ) ეგ ლექსი, ჩემო ვასო, ჩემს ისტორიასავით კარგია, მაგრამ იცი? რაღაც აკლია, კაცო, რაღაც, იქ შიგ გულში... სხვა უნდა იყოს და! აი, მაგალითათ, რო დაგეწერა, ომში წავალ და იქ მოვკვდებიო, ეს უკეთესი იქნებოდა, იცი? ჯერ ერთი, იქ რო მოკვდე, ისტორიაში ჩაიწერები და მეორეც ისა, რო ქალებს ძალიან უყვართ გმირები!

პეტრე. ესეც მართალია! მაგრამ იცი რა გითხრა, ვასო, არ კი გეწყინოს, კაცო, კრიტიკა ყოველთვის მიუდგომელი უნდა იყოს. აი მე ნინაზე რომ მაქვს, ისე რო დაგეწერა, უკეთესი იქნებოდა: ჯერ უნდა თვალები აგეწერა, მერე ცხვირი, მერე ნიკაპი და სხვა. მაშ?! იქ ერთიის არის კარგი, საცა ეუბნები: „მოდი ერთი მაკოცეო“. მეც სწორეთ მაგრე მაქვს. აბა დამიგდეთ ყური, ეხლა ხო ჩემი ჯერია. (კითხულობს) „ნინა მთელ დედამიწის ზურგზე ერთი ულამაზესი ქალია. ნინა ისტორიული სახელია, იმასაც ისტორია წაკითხული აქვს. თვალები მშვენიერი, ცხვირი თამარ დედოფლის და ნიკაპი ალაზნის ველივით სწორე. ის რო თვალებს აათამაშებს ხოლმე მე გულში ლახვარი გამივლის. ამიტომ ერთხელ დავუჩოქე და ვთხოვე: „მშვენიერო ნინა, ნება მომეცით გემთხვიოთ და ცოლათაც წაგიყვანოთ. პასუხს მოუცადეო. ვნახო რა იქნება?“ როგორია ჰა, ყმაწვილებო!

ლადო. სსუთ! პირველი სიტყვა მე მეკუთვნის. ეგ, პეტრე, შენ მოთხრობის დასაწყისათ გაგიკეთებია, მაგრამ ბოლოში კი რო მოგექცია, ისა სჯობდა. მხოლოთ ისე კი, რო თავში არაფერი დაგეწერა, ისე ცარიელი ქაღალდი გაგეშვა; თორემ მე ვიცი თავშიაც მაგისთანა სისულელეს წამოროშავ! აი, გაგაგიჟა მამა-უფალმა! (სვამს)

გასო. აბა შენ რა გესმის, ლადო, ლიტერატურის, შენს დღეში ხო არა წაგიკითხავს რა? მე კი თანამედროვე კრიტიკა ხუთი თითივითა მაქვს შესწავლილი. ყოჩაღ, ყოჩაღ, პეტრე, დაათავე, ძმაო, ერთად ვიშრომოთ... აი ეხლა მე მეორე ლექსიც მომივიდა თავში...

ლადო. აფსუს მიხაილოვის ბალნიცავ, რო ადგილი არა გაქვს თავისუფალი!

ნიკო. მაგაში ისტორიული ბევრი რამ არის, მაგალითათ ნინას სახელი, ე. ი. წმინდა ნინოსი, ამ მხრივ კარგია. მეორე მხრივაც, ე. ი. პოეზიის მხრივ, იქ არის კარგი, საცა უჩოქებ. დაათავე და კიდევ ვნახოთ. ეხლა ჩემი ჯერია გთხოვთ კი, ძმებო, რიგიანათ დაუგდოთ ყური რადგან ეს ისტორიაა: (კითხულობს) „ქორონიკონი იყო რაე. ნარ. კან. სან. თუ ჩვენც ვითარცა ქართველ ერს, ქართველთა ნაციას, ქართველთა ტომს, ქართველთა ეროვნებას, ქართველთა ხალხს, გვინდა სხვა ერთა, ნაციათა, ტომთა, ეროვნებათა და ხალხთა შორის თავი ვიჩინოთ, საჭიროა გამოვიტანოთ მათ წინ საქვეყნოთ ჩვენი ისტორია. მაშ დავიწყოთ იმ პირველ დროიდან ოდეს ერეკლე მეფე წარმოუძღვა მეფე ქართლოსს და მოიყვანა იგი თვისი ერით, რომელნი არიან ქართლოსის შთამომავალნი, ადგილსა ამას საცა ეხლა ჩვენა ვცხოვრობთ. მაშინ მახათას მთას ეს სახელი არ ერქვა. მატიანე გადმოგვცემს რო თფილის ქალაქი ვახტანგ მეფემ დაიპყრო და მას აქეთ აბანოები აღმოჩნდაო. აი ამიტომ დღეს ქალაქ ტფილისს ჰქვიან „თბილისი“ ე. ი. ისეთი ქალაქი, სადაც თბილი და მჟავე წყლებია. უცხოელები კვირობენ ირაკლის, ქართლოსის და ვახტანგის სიგმირეს ომებში, ვინაიდან ვახტანგი კარგათ ესროდა თოფს. თუმანოვის აბანოსთან მოკლა ხოხობი, რომელიც წყალმა წაიღო, მაგრამ დაიჭირეს და ნახეს, რო თავისთავათ მოხარშულიყო და იჭმებოდა. აი ამიტომ ჩვენ ქართველებს მას აქეთ ხოხბები გვიყვარს და დიდებული წარსულიცა გვაქვს.“ ხელს ვაწერ: ნიკო ნალბანდიშვილი.

ლადო. შენ, სვინტუს! არსად გაბედო და არავის წააკითხო ეგ სისულელე, თორე ისეთ დღეს დაგაყენებ, რო წერვა კი არა, თითს ველარ ატოკებდე! შე, ოხერო, რეებსა ჩმახავ? ირაკლიმ ქართლოსი წაიყვანა, თუმანოვის აბანოში ხოხობი მოიხარშაო! განა ეგ ისტორიაა?! ეგ შენი გათქვეფილი ფანტაზიაა!

გასო. არა მანდ ყველა კარგათ არის, მაგრამ მე როგორც გამიგია, ქართლოსი წინათ სცხოვრობდა, ერეკლე კი რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ამიტომ როგორ მოხდებოდა, რომ ირაკლის ქართლოსი წამოეყვანა!?

პეტრე. მეორეც ესა: ირაკლი ქრისტიანი იყო, ქართლოსი კი ურჯულო და აბა ერთმანეთს რას გაუგებდნენ!?

ნიკო. ყმაწვილებო. მე ისტორია ერთი ათჯერ მაინც მაქვს გადაკითხული, იქ ცოტაოდენი შეცდომებია. იქ მაგალითათ არ არის მოხსენებული, რო ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს ქრისტეს წინეთ მესამე საუკუნეში. თქვენ, როგორც პოეტმა და ბელეტრისტმა ესეები არ იცით, იმიტომ მე არ გეთანხმებით. მე მინდა შევასწორო ჩვენი ისტორია.

ლადო. (სვამს) გაჩუმდი, შე იუდას ვირო! რეებს მიქარავ?! ისტორია უნდა შეასწორო? ვინა? შენ?! ღმერთს გეფიცები დახიე ეგ რაღაც სისულელეა, თორე გვერდებს აგინთებს!

ნიკო. ყმაწვილებო, იმას შურს, შურს რომ თვითონ არაფრის ნიჭი არა აქვს. მე მაინც განვაგრძობ ჩემსას და ვნახოთ ავალაპარაკებ მთელ საქართველოს, თუ არა!

ლადო. კარგი განაგრძე და მე ერთათ მივცემ სპიჩკას მაგ შენს ტვინის ბზეს. თქვე, ოხრებო, თუ შნო არა გაქვთ, ძალას ვინ გატანთ. ღვინო დალიეთ, არაყი სვით, ისეირეთ... რა ვიცი ცოტა რამეა გასართობი თქვენისთანა ოხრებისათვის?

გასო. კარგი ერთი და შენ რაღა გაჯავრებს? მაიტა ცოტაოდენი გვაჭამე შენი „ზაკუსკა“.

პეტრე. მერე უფრო გულიანათ დავწერ (მიდის [illegible]-თან).

ლადო. ხელი, ხელი! თქვენ ლექსებიც გეყოფათ. პოეტი ზეფირს უნდა ყნოსავდეს, ისტორიკოსი ჟანგს!

ნიკო. გვაჭამე თუ ღმერთი გწამს, ხო იცი დღეს არა გვიჭამია-რა!

ლადო. ცეცხლეთ, მაგრამ რო მიუცუცქდებით ხოლმე მაგ კუშეტკებს, რატომ არა ფიქრობთ, რომ დღეს უკანასკნელი გროში დავხარჯეთ და სახლიდინაც გაგვრეკავენ? (სჭამენ).

პეტრე. მე ადგილი მალე მექნება, მაშინ ნახავ როგორ ვიცხოვრებთ, წერვასაც, რასაკვირველია, მოვუმატებ, ჰონორარს ავიღებ.

ლადო. დიახ, დიახ, არც კი გათქმევინებენ, ბიჭის ხელით მოგერთმევა.

გასო. მითომ რატომაც არა? გორკიმ 75 ათასი აიღო ერთს მოთხრობაში და ჩვენ რაღა ღმერთი გაგვიწყრება ერთი 15 ათასი მაინც არ ჩავიჯიბოთ!

ნიკო. მე იმას ვწუხვარ, რო ისტორიულ ნაწერებს საქართველოში გასავალი არა აქვს.

ლადო. შენც საფრანგეთში გაგზავნე!

პეტრე. ეგ არ შეიძლება, ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი შრომა ქართველ ერს უნდა მოხმარდეს.

ლადო. (წართმევს ნიკოს ჯრყის შუშას) მოიცა, სად მიათრევ! შენ ისიც გეყოფა რო 7ჩ მ. ჰონორარს ჩაიჯიბავ, მგონი ტილიპუჭურას ეხლავე შეუკვეთე ჯეირნის მწვადები!

გასო. სტრიქონში მე მომცემენ, უკანასკნელი რო ვსთქვა, მანეთს მაინც; ლექსია პროზა ხომ არ არის?!

ლადო. რას ამბობ, დაუშტვინე?

პეტრე. მე ისე ადვილათ არ მოვურიგდები გამომცემელს, ვიდრე ხელში არ დამითვლის, არა იქნება რა! (სვამს).

ლადო. თქვენ, ძმაო, მეც მალე გადამრევთ თუ არ მოგშორდით.

ნიკო. ვინ გიჭერს, საითაც გინდა იქით გასწიე!

ლადო. გავსწიო, მე ვიცი ბაგაჟი დამამძიმებს! რაღა დამრჩა, ყველაფერი დავაგირავე, გავყიდე და თქვენ შეგაჭამეთ ისტორიკ-პოეტ-ბელეტრისტს.

გასო. ამ კვირია უეჭველათ ჩავდგები ალაგში, იქნება „ივერიის“ რედაქციაშიაც მიმიწვიონ. პირველ ხანებში ათ თუმანს დავჯერდები.

ლადო. (იცინის) მერე იქ რა უნდა გააკეთო? გოდრებს თუ გაზიდვინებენ. შენი ნაჯღაბნის გაზიდვასაც ვერ აუხვალ.

ნიკო. მე არხეოლოგებს ველი პეტერბურგიდან.

ლადო. მე მათ უნდა შევატყობინო, რო არუთინ არუთინოვის სახლში ერთი ძველი ვირის თავია დაფლული-მეთქი.

ნიკო. ლადო, ნუ იცი, კაცო, კაცის ლანძღვა!

ლადო. ოჰო, როგორ ეკადრება შენისთანა ისტორიკოსს.

ნიკო. (სდგება გამწყრალი) აბა შენ რა გელაპარაკო? ისა სჯობია განვაგრძო ჩემი საქმე. (მივა ისევ კუშეტკასთან და სწერს).

ლადო. ჩქარა, ჩქარა, თორე ერეკლეს გზაზე ქართლოსი გაქცევია და იქნება ველარც კი მეეწიო!

გასო. უხ, დედავ, ძლივს ცოტა კუჭი არ ამოვივსე.

პეტრე. მეც ეხლა აღარა მიჭირს რა, ეხლა კი დავათავებ ჩემს მოთხრობასაც (მიდის წინანდელ ადგილს).

გასო. არც მე ჩამოგრჩებით (წვება ოატაკზე).

ლადო. ამ ოხრებმა მკალიასავით დაძოვეს აქაურობა და მიწვენ აქეთ-იქით. მოდი ერთი მეცა ვცდი წერვას იქნეგამოვიდეს რამე! (სწერს. შემდეგ კითხულობს) „გუშინ სტარი-

ადოენიკმა წიტრიკამ ძველ პალტოში ცხრამეტი შაური მომცა. ათი შაურის არაყი გუშინ და დღეს, სამი შაურის წიწაკა, შაურის ყველი, აბაზის პური ჩაცეცხლეს პოეტმა, ბელეტრისტმა და ისტორიკოსმა. იმედი მაქვს მალე მოგვადგება კარზე, ვისაც ველი". საქართველოს დიდებანო, მე უკვე გავათავე ჩემი მოკლე, მაგრამ გულსაგმირი მოთხრობა. ხომ გაიგონეთ? აბა რას იტყვით! (დგება, ბოდალთასა სტეგმს) ცოტა კი დაიგვიანა იმ წყეულმა ჩვეულებრივზე. ალბათ უნდა, რო ძაან მაცდევინოს. (მიდა ვასოსთან) პა, პა, ერთი ერთი რითმაც! (ჰეტრეს) „ფეხები, ტუჩები, ქუჩები!" (ასმის კარედან ხმა: სტარი ოდეუდი უკვეო ესტ ბროდაუნი?! სტარი ოდოუდი უკვეო ესტ და სხვ.) აქეთ, აქეთ, წიტრიკ (კადის და შემოუძღვება წინ წიტრიკას, რომელიც შემოდის ტანისამოს მკლავზე გადაწყობილი) აი რეერთი სძოვენ.

წიტრიკა. ვა, ეს რატო ისე ლოკულობენ, კაცო ჯადოს აკეთებენ?

ლადო. შენი საქმე არ არი, აბა გასინჯე (მიიუკანს ვასოსთან) ამას თუ გაქურქავ, თან ისეთი ანგელოზი გამოგყვება, რო სუ მაღლა-მაღლა გაფრენს, აგერ ის (უჩვენებს ჰეტრეზე) სავსეა ნიშადურით; ესეც (ნიკოზე), რაც უნდა მოკვდე, რო-გორც უნდა მოკვდე, როგორც გინდა დაროცა გინდა მაშინ გაცოცხლდები. ამასთანავე თუმანოვის აბანოს აუზში სუ ხოხბებს ამოკრეფავ!

წიტრიკა. მე ეგენი არ ვიცი, ააყენე რაღა, ენახო!

ლადო. ისე კი ვერა ხედავ?

წიტრიკა. ვა, წყალში თევზი ვის დაუფასებია? ააყენე რაღა!

ლადო. აბა, ვასოჯან, ერთი წამოდექ, მაჭანკალი მოგვიდა!

ვასო. დამანებე თავი, შენთვის არა მცალიან!

ლადო. ეს პინჯაკი გაიძრე და შენ ვიდრე ბაირონმა არ დაგიძახოს, ნუ ადგები!

ვასო. (დგება) კაცო, ეს ერთათ-ერთი პიჯაკი ღა დამრჩა, რიღათ გავიდე გარეთ?!

ლადო. შე, ოხერო, მაშ ჰონორარი რა ოხრათ გინდა, ტანისამოსსაც არ იყიდი?

ვასო. აგერ პეტრემ გაყიდოს, ის უფრო დიდ ჰონორარს არ მოელის? გორკის თუ კი 75 ათასი აუღია?!

ჰეტრე. რო აუღია, ჩემთვის ხომ არ გამოუგზავნია?

ლადო. კაცო, წელან ჰაიჰარათი იღებდით ჰონორარს და ეხლა უარს ამბობთ? ბატონო ისტორიკოსო, არ შეიძლება ეგ ქართლოსის ნაცვამი კოსტიუმი წიტრიკას ისტორიაში მოყვეს? (წიტრიკას მიიუკანს ნიკოსთან) რას იტყვი ამაზე? იცი ეს რა არი? აი, ამ სახელოზე ევლო ხელი ერეკლე მეფეს, როდესაც ქართლოსი ურარატიდან აქ ჩამოიყვანა, საცა ეხლა ჩვენა ვცხოვრობთ. მაშინ მახათის მთას ეს სახელი არ ერქვა... და სხვა და სხვა. ჰა, ვერ გაიგე რას გეუბნები?!

წიტრიკა. ვა, ეგ სადაური ვაჭრობაა? თუ ამბობ სწორეთა თქვი რაღა! მე რა ვიცი ქართლოსი რამდენი ფულია, ან რას აფასებ?

ნიკო. შე ვირო, ქართლოსი ფული კი არა, მეფე იყო, მეფე!

წიტრიკა. მეფე? მერე მეფეს აქ რა უნდა?

ნიკო. (იცინის) რა ბრიყვია და! (ადგება).

წიტრიკა. (უკურებს) არა, არა მე ამ პინჯაკს არ ვიყიდი თუნდ ქართლოსი დაუძახეთ, თუნდ პეტერბურგი. ეს (შინჯავს) უკანიდან კიდე ჰო, საკერებლათ გამოდგება, მაგრამ წინადამ კი მეტის-მეტათ უცურნია ამის პატრონს ხმელეთზე!

ლადო. კარგი ერთი შენცა და! ახალიცა და ძველიც სუ შენი არა ვართ! (ჰეტრე ადგება).

წიტრიკა. (ჰეტრეზე) აი ამას არა უჭირს რა, ეს კიდევ ვაინაჩრობით ხელს მომცემს, ეს კი (ნიკოზე) რასა გავს, თითქოს ოფოფებს უძვრენიათ შიგ.

ლადო. წიტრიკ! ნუ ინაზები თორე ერთს ისეთ ბოცკაბ, რომ ჩემი პალტო თვალებში ჩირაღდანივით აგენთოს! ის რო იგდე ხელში, ხომ კარგი იყო?

წიტრიკა. კარგი ჰა, ჯანდაბას, ყველას ვიყიდი. ავი კარგს გაყვება რაღა! აბა მიტრიალდი! შინჯავს (ვასოს).

ჰეტრე. ყმაწვილებო, სუ ყველანი ხო ვერ დავტიტვლდეპით. ერთ-ერთმა გავყიდოთ. მე ხვალ სხვაგანა ვარ წასასვლელი და მოდი დღეს ვასოს პინჯაკი...

ვასო. ვასოს პინჯაკი კი არა, ვასოს ნაფუძრები არ გინდათ?! ღმერთმანი, ეს ჩემი არ არის, ორი თვეა რაც სხვას ვთხოვე, მაგრამ ალარ მიმიტანია!

ლადო. ეგ უკეთესი, სხვისას ყიდი, შენ რას ზარალობ?

წიტრიკა. კარგია ერთი მამა გიცხონდათ და! ნუ მაბანდებთ, დღეს მთელ ქალაქს უნდა შემოვუაროთ!

ლადო. მაშ, მოდი და წილი ვყაროთ, მაგრამ მე რადგანაც ჰონორარს არ ავიღებ, ამიტომ არც წილში შემოვალ. მეორეც ესა, ჩემი პალტო ხო დღესა ვჭამეთ!

წიტრიკა. ჰამა, ჩაიჩხრიალე ჰა, ცხრამეტი შაური!

ნიკო. (კითხულობს) ქორონიკონი იყო წ. ყ. ბ. რ. და მოიქცა მ-ენით...

ლადო. მოიქცა კი არა გადაიქცა ალარ გინდა?! მორჩი რაღა, ჰა, გაწყერ, წიტრიკ! მიბრუნდი იქით! (აკეთებენ წიდს) მოდი ამოიღე!.. აჰ, პეტრეს ვახლავარ! არა უშავს-რა, გორკიმ 75 ათასი აიღო. ჰა გაიხადე! (ხდის) აბა წიტრიკ, ხელი ავლე!

წიტრიკა. ესა? ეს ეღირება... არც მეტი, არც ნაკლები ათი შაური ნაღდი ფული!

ლადო. წიტრიკ! წყალი დალიე იქნება ცუდ გუნებაზე ხარ. ახალთ-ახალი პინჯაკი ათი შაური?

წიტრიკა. წყალი რათ მინდა, ღვინო არ არი? ეგ არი ჩემი ფასი, თქვენი ნებაა! (მიდის).

ლადო. (მოაბრუნებს) მოიცა მამა გიცხონდება და! იცი, პეტრე, ჟილეტით ხო ვერსად წახვალ და ბარემ მოდი ეგეცა და ქუდიც გავყიდოთ.

წიტრიკა. ჰო, აი ეგეც ჭკვას ახლოა, ეხლა მეტი ეღირება!

ჰეტრე. ჯანი და სული გავარდეს, თავში შემოიხალოს! (იხდის).

წიტრიკა. ვა მე რათა? იმას გავარდეს, ვინც ჩაიცვას!

ლადო. აბა ეხლა რას იტყვი?

წიტრიკა. შაური ქუდი, აბაზი ჟილეტი... სულ ერთათ თხუთმეტი შაური!

ვასო. აფსუს პინჯაკო! არ გაყიდო მაინც, ჩვენვე დავიბრუნებთ.

ლადო. ჰო, ჰონორარს რო აიღებთ არა?! (წიტრიკას) კარგია მორჩი, ამოიღე ჩვიდმეტი შაური და ჯანდაბას! ათი შაურის არაყი, აბაზის პური, სამი შაურის წიწაკა, ამაღამ გვეყოფა, ხვალე, რაც იქნება, ის იქნება!

წიტრიკა. ლადოჯან შენი ხათრი თორე აი, მაგას არ მივცემდი. შარშან შენმა საქონელმა კი მოგება მაჩვენა. (უთვლის ფულს) ორი აბაზი, ხუთმეტი შაური, ესეც თვრამეტი, დრუსტათ არი რაღა! აგაშენოთ ღმერთმა! (მიდის) კიდევ დაგხედავთ, ყმაწვილებო! (კადის).

ნიკო. ეხლა ერთი თქვენ ეს მითხარით, ხვალე რაღა ვქნათ? ამ ჩემ პინჯაკს არა ყიდულობენ, ვასოსაც ნათხოვარი აქვს, შენც არ შეელევი მაგას!

ლადო. ხვალე მე არ ვიცი! ამალამ ხო მაძღარი ვიქნები (აიდებს ბოთლს და გადის).

პეტრე. ეჰე, როდის გვეღირსება ის ოხერი ჰონორარი!

ნიკო. ვწეროთ, ყმაწვილებო, ვწეროთ!

კასო. მე მესამე ლექსსა ვწერ. (განაგრძობენ სამივენი წერას. პაუზა)

ნიკო. ქორონიკონი იყო ტ. ლ. მ... (ისმის გარედან ფეხის ხმა. შემოდის არუთინ არუთინოვი, ბოქაული და ერთი მეეზოვე).

ი. ევდოშვილი.

(შემდეგი იქნება)

ᲫᲘᲫᲐ

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

VI

(გაგრძელება. იხ. „კვალი“ № 26)

ოცდა ერთ მაისს ღამის 2 საათზე უნდა გასულიყო ბათომიდან გემით №-ს პოლკი, რომელიც გადაიყვანეს პოლონეთში. ორ მაისს აფიცრებს გამოსათხოვარი სადილი ქონდათ გამართული. ამ სადილზე დერიანიც იყო მიპატიჟებული, საღამოსათვის კი დანიშნული იყო ის საქველმოქმედო საღამო კონცერტით ტ ცოცხალი სურათებით, რომელშიდაც დერიანის ცოლს მონაწილეობა უნდა მიეღო. ამიტომ დერიანისას ყველანი მხიარულის მოლოდინით ადგენ დილით ოც მაისს. ქალბატონი მაშინვე შეუდგა მზადებას, ის რაღაებსაც ალაგებდა მხიარულის ცელქურის ღიმილით, როცა ქმარი მუნდირით და ექსელბანტებით გამოწყობილი მოვიდა მასთან დასამშვიდებლათ სამსახურში წასვლის წინ. ის კეკლუცათ დიდის ყურადღებით დაემშვიდობა მას და მხიარულათ აკოცა შუბლზე. როცა ქმარი დაიხარა და აკოცა მას ხელზე.

— მაშ კონცერტში გნახავ,—უთხრა მას ქმარმა—სამსახურიდან აფიცრების სადილზე წავალ.

— მე საცეკვაოთ დავრჩები, შინ გვიან დავბრუნდები, მიუგო მის ცოლმა.

— ვიცით, ვიცით, რომ გიყვარს ცეკვა, გააქნია მან სიცილით ხელები და გავიდა გარეთ. ქალბატონი ცოტა ხანს იდგა გაჩერებული, მერმე გადაიხარხარა და ისევ შეუდგა მზადებას.

ემზადებოდა ქრისტინეც, ის აპირობდა ცოცხალი სურათების სანახავათ წასვლას და იკერავდა იმ იისფერ კაბას, რომელიც აჩუქა მას ქალბატონმა და რომელიც მისთვის ერთობ განიერი იყო. ამ ბოლო დროს მას და ქალბატონს ერთობ კარგი, თითქმის მეგობრული განწყობილება ქონდათ და ქალბატონს უსათუოთ უნდოდა, რომ ქრისტინეს ენახა ის სცენაზე სიყვარულის ღმერთათ გამოწყობილი. ქრისტინე აჩქარებული და გახარებული კერავდა თავის კაბას. როცა გაათავა, ჩაიცვა და გაიქცა სამზარეულოში, რომ ეჩვენებინა მზარეული ქალისთვის, თუ როგორ ადგა ტანზე. მის ცოცხალ მხიარულ სახეზე არც კი ეტყობოდა, რომ როდისმე მას რაიმე დარდი გამოეღო, პირიქით ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქო ცხოვრება მისთვის შეუწყვეტელი ბედნიერება ყოფილიყოს.

შვილის სიკვდილმა არ იქონია მასზე მძიმე გავლენა. ის ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში გადაეჩვია მის სიყვარულს, ისე როგორც გადაეჩვია თავის სოფლურ ცხოვრებას. მხოლოდ ხსოვნებაში მოგონებით უყვარდა მას შვილი. მის დედობრივ სიყვარულს კი სრულიათ აკმაყოფილებდა გაზრდილი, რომელსაც ის უწევდა დედობას და შრომას.

ქმრის წასვლის შემდეგ რამოდენიმე დღის განმავლობაში ქრისტინე გამოურკვეველი გულის ტკივილით მწვავ ჭრილობასავით გრძნობდა შვილის დაკარგვას. ცალთნეული ხშირად ფიქრობდა თავის გოგონაზე, ეალერსებდა მას და იხუტებდა ფიქრით გულში. ის ცდილობდა წარმოედგინა ბავშვი სხვადასხვა დროს: მხიარული, კარგათ მყოფი, როგორიც დატოვა შინ, მაგრამ რამდენსაც არ ცდილობდა მოეგონებინა ის ჯანსაღი, ვერ მოეგონებინა და ყოველთვის ცხოვლად ეხატებოდა თვალწინ ის პაწია, საცოდავი ბებრის სახის მქონე, კბენარიანი ბავშვი, რომელიც თითქოს საყვედურით შესცქეროდა მას მისი მიმქრალის ტანჯულის თვალებით. მაშინ ქრისტინეს საშინელის დარდით ევსებოდა გული და შეშინებული და აღელვებული საჩქაროთ მირბოდა გაზრდილთან, აიყვანდა მას, კოცნიდა და მის სიყვარულში პოულობდა ნუგეშს. ის მშვიდდებოდა. დღეები მიდიოდა და ქრისტინეს წყლულიც თან და თან გაუმთელდა. ის ისევ უწინდებურათ გამხიარულდა, სასურველმა ცხოვრებამ ჩქარა დაფერფლა მოგონებანი. ის უნებურათ ცდილობდა არ მიკარებოდა თავის გულის წყლულს და არ გამოეწვია მოგონებით ტკივილები. ტკბილმა ცხოვრებამ ის ისევ ჩაითრია და ისევ ისე უწინდებურათ ილტვოდა ცხოვრების საამური ტალღებისაკენ, საითკენაც იწვევდა მას ათასნაირი მაცთური სურვილები და გამხიარულდა.

ერთხელ ის წავიდა კიდევაც ტასიასთან, რადგანაც გაიგო, რომ მას სტუმრები ყავდა მოწვეული, მაგრამ შერცხვა და გზიდან დაბრუნდა.

დღეს კი, როცა მან ჩაიცვა იისფერი კაბა, რომელიც ისე შვენოდა მის შავგვრემან სახეს, მან გადასწყვიტა, ხვალ უსათუოთ წასულიყო თავის მეგობართან და დაეპატიჟებინებინა „ნაცნობები“.

საღამოზე ქრისტინე მორთული წავიდა კონცერტში, უკანა წყებებში იპოვნა თავის ადგილი და დაჯდა.

დიდ, მაღალ, ელექტრონით განათებულ დარბაზში თავიდან ბოლომდის ჩამწკრივებულ სკამებზე ისხდა მრავალი ჭრელათ მორთული ხალხი, და თანდათან კიდევ შემოდიოდენ და სხდებოდენ. ისმოდა გაუწყვეტელი ლაპარაკი, სიცილი და სკამების ბრახა ბრუხი. ქრისტინე იჯდა და გაღიმებული ცნობის მოყვარეობით იკქირებოდა აქეთ იქით, წინ წყებებში მან დაინახა ტასია ოქროს ფერი ყვითელი კაბით გამოწყობილი თავზე ბრჭყვიალა სავარცხლებით ბედნიერათ მომღიმარე. ქრისტინეს უნდოდა მისულიყო მასთან და წამოიწია ასადგომათ, მაგრამ სწორედ ამ დროს ხმაურობა ერთბაშათ შეწყდა და მოისმა მუსიკის ნელი მხიარული ხმა. ქრისტინემ გაიხედა იქითკენ, სათკენაც ყველანი იკქირებოდენ—სცენისკენ და გაოცებული, გაკვირვებული დააშტერდა. მან დაინახა მშვენივრად ამწვანებულ-აყვავილებული მთები, რომელსაც ერთის მხრით ეკრა დაბურული მუხის და ჭადრის ტყე, მეორე მხარეს კი ძირს გაშლილი იყო ლურჯი უძირო ზღვა, რომლის მსუბუქ ზვირთებს თითქოს კოცნიდენ და ეალერსებოდენ მთის იქით დამავალი მზის ნაზი სხივები. ტყის განაპირას აქა იქ სძოვდენ ირმები და ჯეირნები.

ერთ ლამაზ პაწია გორაზე ზღვის პირად დიდი ჭადრის ქვეშ იდგა ლამაზი მაღალი ქალი, ტანზე მას ვარდისფერი დოლბანდის სამოსელი ჰაერ ოვან ღრუბლებივით გარშემოხვევოდა და მის მშვენიერ ტანის მოყვანილობას ყველასათვის თვალსაჩინოთ ხდიდა; წელზე მას ერტყა დაწნული ყვავილების გრძელი სარტყელი. ქალი იღიმებოდა ძლევამოსილის ღიმილით და ორივე ტიტველა ხელებ გაშვერილი შესცქეროდა მის პირდაპირ მდგომარე ახალგაზრდა ჭაბუკს, რომელიც ისიც იყო აპირობდა ვაშლის ტყორცნას ქალისთვის.

ჭაბუკიც, როგორც ქალი, ბედნიერის ღიმილით იღიმებოდა. ტანზე მას თეთრი ოქრომკედით ნაქარგი გრძელი მუხლებამდის პერანგი ეცვა, წელზე შემოერტყა ყვითელი ბრჭყვიალა ქამარი, თავზე უბრწყინავდა ოქროს თეთრ ფოჩიანი მუზარადი და ზურგზე უდარდელათ გადაეკიდა მშვილდ ისარი. ცოტა მოშორებით მოჩანდა ორი მიმავალი ჰაეროვანი და ყვავილებით შემკული გაჯავრებული ქალები.

— აჰ, რა მშვენიერი ვენერაა!

— ქალი მაგისთანა უნდა იყოს!

— რა სიყვარულით უყურებს პარისს!—მოესმა ქრისტინეს ხმები. ის იჯდა გაშტერებული და გაოცებული, მას არ ესმოდა, რა იყო მაინცა და მაინც საინტერესო იმაში, რომ მისი ქალბატონი და ულვაშებ აწკეპილი აფიცერი თითქმის ტიტვლები გამოვიდენ სცენაზე, ერთი იყო, რომ ამისანა ტანისამოსში უფრო ლამაზები ჩანდენ და ვნებით, რომელსაც ქრისტინე სიყვარულს უძახოდა, აღელვებდენ ერთმანეთს.

ფარდა ნელ ნელა დაეშვა, მაგრამ რამოდენიმე წამის შემდეგ ისევ აიწია. ახლა ქალი და ჭაბუკი გადახვეულნი იდგენ მეორე უმაღლეს გორაზე. ქალს ერთ ხელში ვაშლი ეჭირა და მეორეთი აჩვენებდა ზღვისაკენ, სადაც შორს თეთრ იალქნიანი გემები მოჩანდა. ჭაბუკი კი აღტაცებით აღელვებული შესცქეროდა მის ტიტველა გულს და მკლავებს.

ყველანი სულ განაბული შესცქეროდენ ამ სანახაობას. ფარდა ნელ-ნელა დაეშვა.

— ახ სიყვარული, სიყვარულისანა რა იქნება!

— რა მშვენიერი პარისია! ვინ არის ნეტავი?

— ღმერთებს რომ კი უყვარდათ ერთმანეთი, ჩვენ ცოდვილმა ადამიანებმა რაღა უნდა ვქნათ?—ესმოდა ქრისტინეს იქით აქედან ხმები.

ქრისტინემ თვითონაც იგრძნო, რომ ამ სურათის სანახაობამ გაავსო მის გულში სიყვარულის ფიალა. ის ნატრობდა, გახარებული ოცნებობდა, ჩქარა გადაეხვიოს ვინმეს, აკოცოს და უჩურჩულოს სიყვარულის სიტყვები. მან მაშინვე წარმოიდგინა სანდროია ბ გადასწყვიტა, ხვალვე ნახოს ის. მას გაუკვირდა და კიცხავდა თავის თავს, რომ ამდენ ხანს ასე სულელი იყო და ასე უბრალოთ დაკარგა „ოქროს დროება". „განა სიყვარულისანა იქნება რამე!" იმეორებდა ის გაგონილ სიტყვებს და ფიქრით კოცნიდა „თავის" სანდროს:

მოვიდა ის შინ აღელვებული და აღტაცებული, მაშინვე დაუწყო მბობა მზარეულ ქალს, რომელიც მან თავის მაგივრათ ბავშთან დატოვა, იმისი თუ რაც ნახა „თეატრში" მზარეულ ქალს საშინლად ეძინებოდა, მაგრამ რომ არ ეწყენინებინა ქრისტინესთვის, მოთმინებით უგდება მას ყურს. როცა ქრისტინემ გაათავა, მან ერთი საშინლათ დაამთქნარა, პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— რამ გადარია აი ხალხი, წავალ და დევიძინებ—საქმე არ აქვენ, საქმე—დაუმატა მან და ნელის ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. ქრისტინემ დაცინებით გააყოლა მას თვალები.

— დაბერდა უბედური—წარმოსთქვა მან. ის მივიდა ბავშთან, გაუსწორა საბანი და უნდოდა გაეხადა და დაწოლიიყო, მაგრამ უცებ დაღონდა. რაღაც მოსწყინდა უმიზეზოთ. მას უნდოდა სიყვარული, ალერსი, ხმაურობა და აქ კი ასეთი სიჩუმე სუფევდა. მზარეულ ქალს ეძინა. «დენშჩიკი» გემზე წავიდა ამხანაგების გასაცილებლათ. მან არ იცოდა რა ექნა, დაიწყო სიარული ოთახებში, მერმე ჩამოიღო ქალბატონის ნაჩუქარი გიტარა და დაიწყო დაკვრა და სიმღერა; მაგრამ გიტარაც და მისი ხმაც ერთობ მოსაწყენი და უშინაარსო ეჩვენა მას. ის გავიდა ზალაში, გაალო ფორტეპიანო, მან იცოდა ერთი თითით დაკვრა „ვაიმე დედავ, მეშინია ვაი, ვაი", მაგრამ თითის დაკარებაზე მოსაწყენი ხმით შეშინებული გამოვარდა გარეთ. მაისის ბნელი ღამე იყო. ბნელ, თითქმის შავ ცაზე კრთოდენ და ციმციმებდენ ბრწყინვალე ვარსკვლავები. ქრისტინე გაბრწყინებულის თვალებით შესცქეროდა მაღლა ცას და ხარბათ სუნთქავდა აღელვებული. უცებ ერთი ვარსკვლავი მოწყდა და ისარივით დაეშვა ცის კამარაზე, ქრისტინეს მოაგონდა, როგორ ბრწყინავდა წეღან ცოცხალ სურათებში ქალბატონის თავზე ბრილიანტის ვარსკვლავი და საშინელის შურით აევსო გული, ქალბატონს შეუძლია, რაც უნდა ის ქნას და მას კი, ქრისტინეს, არაფერი არ შეუძლია... შორს სობოროზე გაისმა ზარის რეკა. ქრისტინე შეკრთა. პირველი საათი იყო. მას აქაც მოსწყინდა და თითქმის სირბილით გაიქცა თავის ოთახისაკენ. შევიდა თუ არა, მაშინვე გაიხადა, დაწვა და დახუჭა თვალები. მას უნდოდა დაეძინა. მაგრამ გული რიღასიც მოლოდინით საშინლათ უძგერდა და თვალებს ძილი არ ეკარებოდა. ერთსა და იმავე დროს რაღაცა ახარებდა და ატირებდა მას, რაღაც გამოურკვეველი გრძნობა ლოდივით აწვა მას გულზე „აჰ, ხვალ, ხვალ, დღეს ხომ აღარ შეიძლება მისი ნახვა" ფიქრობდა ის სანდროზე, ტრიალობდა ლოგინში, ცდილობდა დაეძინა, მაგრამ სად იყო ძილი?!. ბოლოს თითქოს რაღაცამ გაუელვა თავში, ის სწრაფათ წამოხტა ლოგინიდან და გაიქცა სასადილო ოთახში, გაალო შკაფი, გამოიღო ბოთლი, დაისხა დიდ ჩაის ჭიქაში ღვინო და დალია. ცოტა შეჩერდა, გაიღიმა და კიდევ გაივსო ჭიქა და კიდევ დალია. შემდეგ ბოთლი და ჭიქა შეინახა და სიცილით დაბრუნდა თავის ოთახში. ეხლა ის მხიარული იყო, სევდიანი მოუსვენრობა სრულიად გაქრა. „რაღაც იქნება" ფიქრობდა ის და თანაც ნელ-ნელა ღიღინებდა. დამშვიდებული დაწვა ლოგინში და ისევ მოიგონა ცოცხალი სურათები და ისევ გაურბინა გულში სიყვარულის მწვავე სურვილმა, მაგრამ ამ დროს საშინლათ მოუნდა ძილი და ბედნიერის ღიმილით დახუჭა თვალები. ძილში მას შამოესმა, რომ ვიღაცამ გააღო მისი კარები. „ეს სანდროა", იფიქრა მან და გაახილა თვალები. მისკენ მოდიოდა ვაჟბატონი გაცინებული სრულიათ გაწითლებულის სახით—ის მივიდა ქრისტინესთან და დაიხარა.

„აგი სანდროიე არაა,—იფიქრა ქრისტინემ, მაგრამ მხიარულათ გაუცინა მას და გაუშვირა ორივე ხელები...

ნინო ნაკაშიძისა,

(შემდეგი იქნება)

ისევ ოპპორტუნიზმის მოტრფიალეს.

„მოამბის" მიმოხილვის ავტორმა ახლა „ცნ. ფურც."-ში მოიტანა ჩვენზე იერიში. პირველი შეხედვით იერიში ძლიერია, აღჭურვილია ვეებერთელა ციტატებით, რომლებიც პირდაპირ გერმანულ ენიდან არიან ნათარგმნი „ცნ. ფურ."-ის თანამშრომლის სახელოთ და ჩვენ გასანადგურებლათ. მაგრამ ნუ შევშინდებით ამ გარეგანი რიხით და აზრების შინაარსი გავითვალისწინოთ და დავაფასოთ. რომ მე და ჩემი მოწინააღმდეგეს კამათი წვრილმანებზე არ შეჩერდეს, მოვაგონებ მკითხველებს, რა არის ჩვენი კამათის საგანი.

„მოამბის" მე-3 ნომერში ჩემმა მოწინააღმდეგემ სთქვა, „თეორიის მართლ-მორწმუნენი პრაქტიკულ მოქმედებაში ნამდვილი ოპპორტუნისტები არიანო". მე ვამტკიცებ, რომ არც ერთი მართლ-მორწმუნე ოპპორტუნისტი არ არის. თავიდა თავი განსხვავება ოპპორტუნიზმისა და მართლ-მორწმუნობას შუა მე, როგორც ჩემ, ხაზგასმულ სიტყვებიდან ჩანს,*)

*) იხ. «კვალი» № 21 „ოპპორტუნიზმი და მისი ქართველი მოტრფიალე".

იმაში დავინახე, რომ ოპპორტუნისტი მოითხოვს სოციალისტურ წყობილების დამყარებას სოციალურ რეფორმების საშუალებით, მართლ-მორწმუნეს კი რწამს, რომ სოციალისტური წყობილება დამყარდება მხოლოთ აწინდელ წყობილების სრული დანგრევით. ესეთია პრინციპიალური განსხვავება. ამავე პრინციპიალურმა განსხვავებამ ოპპორტუნისტი და მართლ-მორწმუნე სხვადასხვა ტაქტიკას, სხვადასხვა გზას დააყენა: ოპპორტუნისტი, როგორც პირველ წერილში ვამბობდი, მეტათ მშვიდობიანი ხასიათისაა, ეშინიან ენერგიულ ზომებისა, მოქმედებს უთუოთ კანონიერების მტკიცე ნიადაგზე, ბურჟუაზიულ პარტიებთან მორიგებით, ეშინიან, არ გააბრაზოს ბურჟუაზია. ამით რასაკვირველია, ის უნდა მეთქვა, რომ სოც.-დემოკრატია არ არის მშვიდობიანი პარტია, არ ეშინიან ენერგიულ ზომებისა, არ მოქმედებს კანონიერების მტკიცე ნიადაგზე ბურჟუაზიულ პარტიებთან მორიგებით, არ ეშინიან ბურჟუაზიის გაბრაზებისა. ჩემი მოკამათე თხოულობდა ვუჩვენოთ, „რომელი მართლ-მორწმუნე თხოულობს „ენერგიულ, უკიდურეს“ ზომების ხმარებას, არა „მშვიდობიან“ მოქმედებას, კანონიერების ნიადაგზე არ დგომას? ჩვენ ვუპასუხეთ, ამას ყოველი მართლ-მორწმუნე თხოულობს, ვინაიდან ყოველი მართლ-მორწმუნე მომავალში საკუთრების მოსპობას მოელის მეთქი, თანაც მოვიყვანე მარქსის სიტყვები ბურჟუაზიის „ძალათ ჩამოგდების“ შესახებ. ბ. № ამ პასუხს არ დაუკმაყოფილებია. მისი სიტყვით, ჩვენ უნდა „გვრცხვენოდეს“ კიდეც მარქსის სიტყვების მის წინააღმდეგ მოყვანისა, რადგანაც მარქსის სიტყვები „ბოლო, დამსკვნელვ აქტს“ შეეხება და არა „პრაქტიკულ მოქმედებას“, რაზედაც ბ. № ლაპარაკობდა. ახლა ვნახოთ, ვის უნდა შერცხვეს, ვინ არის „ბრმა და ან სხვა რამ სენით შეპყრობილი ადამიანი“ (ესეთ „ზრდილობიან“ სიტყვების ავტორი სხვას სთხოვდა სიფრთხილეს!).

ბ. №-იც თანახმაა, რომ „პარტიის საბოლოო მიზანი, რასაკვირველია, რევოლიუციონურია, რაკი სოციალისტურია“. მაგრამ, მისი აზრით, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ პარტიის პრაქტიკული მოქმედებაც „უკიდურესი, ენერგიული, არამშვიდობიანია“. მაგაზ დამტკიცება უნდოდ.

ყველა ეს მართალი იქნებოდა, სოციალ-დემ. რომ ოპპორტუნისტები იყვნენ, რომლებისათვისაც „სიტყვა—სიტყვაა, საქმე სულ სხვაა.“ მაგრამ განსხვავებაც სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის სიტყვა და საქმე ერთია. პარტიის იდეალი საკუთრების მოსპობა—რევოლიუციონური იდეალია—და მთელ თავის სიცოცხლეში იმისთვის იღვწის, რომ ხალხი მოამზადოს ამ იდეალის მოსაახლოვებლათ. ხალხის მომზადება სოციალურ რევოლიუციისათვის პროპაგანდა რევოლიუციონურ იდეებისა, მუშა ხალხის შეერთება დიქტატურის ხელში ჩასაგდებათ—აი უმთავრესი მოღვაწეობა პარტიისა. პარტია იმას არ უყურებს, გააჯავრებს ვისმე მისი ესეთი მოქმედება, თუ არა. თუ პარტიას კანონით აუკრძალავენ ამნაირს მოქმედებას, მაშინ პარტია კანონს გადაუხვევს; თუ კანონი ნებას მისცემს მოქმედებისას, მაშინ, რასაკვირველია, მისი მოქმედება უკანონო აღარ იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რევოლიუციონურიც არ არის; პირიქით, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ ბურჟუაზიამ რევოლიუციონური მოქმედება დაკანონა და ამით თავის-თავს ანდერძი აუგო, საფლავი გაუთხარა. მაგრამ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ შეუძლიან სრული თავისუფლება მისცეს პარტიას (მაშინ ხომ უსისხლო რევოლიუცია მოხდებოდა და მაინც სოციალიზმი გაიმარჯვებდა), ბურჟუაზიული სახელმწიფო ხომ ბურჟუაზიული აღარ იქნებოდა, თუ პარტიის მოქმედებას ცოტაო თუ ბევრათ არ შეზღუდავდა. და რადგანაც პარტია ივარ ... ... გრძნობს, იმდენათ მისი მოქმედება მოითხოვს „ენერგიულ ზომებს“, კანონის გადახვევას. ეს არის ჩემი აზრი. ჩემი მოპირდაპირე მთხოვს ეს დავამტკიცო. შორს არ მოვალ. ... გაქცევა ამის დასამტკიცებლათ. იმედი მაქვს, ... უნგრეთზე არ იტყვის—ოსმალეთიაო, მაშ ყური დავუგდოთ, რას მოგვითხრობს იგივე „ცნ. ფ.“ მე-2215 ნომერში (ბ. №-ს წერილი მე-3 დღის შემდეგ არის დაბეჭდილი): როგორც „ცნ. ფ.“-ის უცხოეთის მიმოხილვიდან სჩანს, ვენაში სოც.-დემ. პარტიას კრება მოუხდენიათ საარჩევნო წესების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ. ილაპარაკეს პარტიის მოთავეებმა პერნერსტორფერმა და შუმიერმა. „პოლიციელმა მოხელემ შუმეიერს ლაპარაკი გააწყვეტინა, მაგრამ მთელმა კრებამ ძლიერი პროტესტი გამოუცხადა პოლიციელს. კრების შემდეგ, ხალხმა დემონსტრატიულათ პარლამენტის წინ გაიარა; ჰოფიციასთან შეტაკებაც მოუვიდა; 11 კაცი დაატუსაღეს. იმავე დღეს სოციალ-დემოკრატებმა ამნაირივე კრება სხვა ადგილებშიაც მოახდინეს: ფლორდსდორფსა, ბრიუნში და სხ.“

იმავე „ცნ. ფ.“-ს მე-2219 ნომერში (მაშასადამე ბ. №-ის წერილის დაბეჭდვის მეორე დღეს) ვკითხულობთ:

„რუსკია ვედომოსტი“-ს გალიციელი კორესპონდენტი იუწყება, ამნაირი კრება გალიციელმა სოციალ-დემუკრატებმაც მოახდინეს ქ. ლვოვშიო. ეს კრება ქალაქის დიდ მოედანზე გაუმართავთ. კრების დროს მჭერმეტყველ ორატორს, სოციალ-დემოკრატს დაშინსკის... ასე დაუსრულებია სიტყვა: «ძირს პარლამენტი, სადაც თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის დეპუტატები სხედან! გაუმარჯოს საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ, სიდუმდო საარჩევნო უფლებას!»

„...ამნაირი მანიფესტაციები იმავე დღეს, ვენასა და ლვოვს გარდა, მოუხდენიათ კიდევ პრაგასა, კრაკოვსა, ბრიუნსა, აუსიგსა, ლინცასა, ლიუბლიანსა და ყველა ქალაქებში, სადაც კი შეიძლებოდა. ამ კრებებმა მთავრობაც დააფიქრეს და პრესსაც აალაპარაკეს“.

იმავ „ცნ. ფ.-“ს მე-2222 ნომერში ვკითხულობთ:

„ბრიუნში ჩეხმა სოციალისტებმა დიდი დემონსტრაცია მოახდინეს და საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება მოითხოვეს. ბოლოს ხალხს შეტაკება მოუვიდა პოლიციასთან; ორი პოლიციელი დასჭრეს კიდეც. პოლიციამ 4 დემონსტრანტი დაატუსაღა“. (კურსივი ყველგან ჩვენია).

თავისუფალი საფრანგეთია—ოსმალეთი ხომ არაა, მაგრამ, დღევანდელ „კვალის“ «საზღვარ-გარეთში» მკითხველები წაიკითხავენ, რომ მუშათა პარტია აქაც უწევს ბურჟუაზიულ მთავრობას დიდს წინააღმდეგობას, იქაც მოსდით პოლიციასთან შეტაკება, იქაც იხოცება ხალხი პოლიციასთან ბრძოლის დროს (12 კაცი დაჭრილა), იქაც მუშებს უმტვრევენ ბურჟუაზიულ სასამართლოს, რომელიც მუშებს ასაჩივრებს, ბურჟუაზიული მთავრობა იქაც იძულებულია მუშების მოთავეები დააპატიმრონ (25 მუშა დაუპატიმრებიათ). უეჭველია იმიტომ, რომ კანონიერათ იქცევიან! (ესევე ამბავი «ცნ. ფ.»-ს მე-2223 ნომერშიც დაიბეჭდა).

მოვიყვან სხვანაირ „უკიდურეს, ენერგიულ ზომის“ მაგალითს გერმანიის ცხოვრებიდან: 1901 წელში გერმანიის მთავრობას უნდოდა ახალი გარდასახადის დაწესება. სოც.-დემ. პარტია მაგ კითხვის განხილვისაც კი წინააღმდეგი იყო და უნდოდა ეს კითხვა, როგორმე გადაედო მომავალ სამინისტროს არჩევნებამდის, იქნება ახალმა სამინისტრომ კითხვა უკან წაიღოს. მაგრამ, რადგანაც არც ერთმა ბურჟუაზიულმა პარტიამ მხარი არ დაუჭირა, სოც.-დემ. პარტიამ მიმართა უკიდურეს ხერხს ე. ი. „ობსტრუქციას“ მუშათა პარტიის ორატორებს ყოველ სიტყვის შესახებ იმდენი უნდა ელაპარაკნათ, რომ ახა-

ლი გარდასახადის დაწესების განხილვისთვის დრო აღარ დარჩენილიყო.

მაგრამ რაღა სიტყვა გავაგრძელოთ: ამნაირი მაგალითები ბ-ნ №-ს მეტს ყველას, უეჭველია, ათასობით ეცოდინება.

დარწმუნებული ვარ, ბ. № მაინც გულს არ გაიტეხს და მაინც თავისას იტყვის: ,,პატარა თავის პრაქტიკულ მოქმედებაში მუდამ კანონიერებისა და მშვიდობიანობის გზას ადგა, რათა ხელსაყრელი საბაბი არ მისცეს ხელში რეაქციასო'' ,,ძირს ბურჟუაზიული პარლამენტიო'', ყვირიან სოციალ-დემოკრატები, და ეს იმით მოსდით, რომ ,,მშვიდობიანობის და კანონიერობის გზას ადგანან''!.. სოც.-დემ. შუა ქალაქში პოლიციასთან შეტაკება მოსდით, პოლიციელებს აშავებენ, ბურჟუაზიულ სასამართლოს ანგრევენ და ყველა ეს იმიტომ, რომ ეშინიათ, ბურჟუაზიული პარტიები არ გააბრაზონ! ობსტრუქციას ახდენენ, და ეს იმიტომ, რომ ,,რეაქციას ხელსაყრელი საბაბი არ მისცენ''!

თუ ბ. №-სთვის არა, მკითხველებისთვის მაინც საგანი საკმაოთ გამოირკვა: გამოირკვა, რომ პარტია მარტო ოსმალეთში არ ხმარობს უკიდურეს ზომებს, არამედ თვით ევროპის თავისუფალ სახელმწიფოებშიაც არ დაგიდევს, გააჯავრებს ვისმე თავის მოქმედებით, თუ არა. მაგრამ საყურადღებოა ბ-ნ №-ის ერთი ხრიკი. ,,მოამბის'' მე-3 ნომერში ბ. № ,,კვალელებს'' უკიჟინებდა, რათა ხართ დოქტრინიორები,— დროა ,,თვალები აგეხილოთ'' და ბებელის გზას დაადგეთო, ე. ი. თქვენც გაოპპორტუნისტდეთო. ახლა კი, ეტყობა, სიმართლეს ძალა დაუტანებია მისთვის, რომ გერმანიაში უპოვნია სახსნელი: ,,მიმოხილვაში ჩვენ გერმანიაზე გვქონდა ლაპარაკიო'' (და არა ოსმალეთზეო). მაშ ეხლა მაინც, იმედია, ,,კვალელებს'' თავს დაანებებს და აღარ მიიწვევს გასაოპორტუნისტებლათ! ესეც კმარა ჩვენთვის! გერმანიაში გასაქცევი გზა დაგვილოცია ბ. №-სთვის!

გადავდივართ ბ. №-ის წერილის მეორე ნახევარზე. (საპასუხო წერილში**) მე ის აზრი გამოვთქვი კაუცკის წიგნი არა-კანონიერ მოქმედების საჭიროებას აღიარებს მეთქი.ბ. № აზრით, კაუცკის წიგნის ხსენება ჩემის ხმით „ფონის გასასვლელი ხერხია, რადგან მთელი წიგნი სულ სხვას გვეუბნება! და არა იმას, რაც ლ. ნ-ს გონია“. მაშასადამე, ის ,,სულ სხვა'' რასაც, №-ს აზრით, კაუცკის წიგნი ქადაგებს, უნდა იყოს რევოლიუციის წინააღმდეგი აზრები. ამის დასამტკიცებლათ ბ. №-ს გრძელი ციტატები მოყავს კაუცკის წიგნიდან. ჩავუკვირდეთ ამ ციტატებს:

,,არავის შეუძლიან გადაწყვეტით სთქვას როდის და რა გვარათ მოხდება იგი“ (ე. ი. კერძო საკუთრების მოსპობა). მკითხველი ხედავს, რომ ეს ციტატა სრულიად უადგილოა, ჩვენ საკამათო საგანზე არაფერს გვეუბნება.

„სახელმწიფოს ეკონომიური ყოვლის შემძლებლობა, რომელიც მანჩესტერის სკოლის ხალხს სოციალისტურ უტოპიათ მიაჩნია, მათ თვარწინ ვითარდება, როგორც აუცილებელი შედეგი კაპიტალისტურ წარმოებისა. თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიური მოქმედება არის დასაწყისი იმ განვითარებისა, რომელსაც სოციალისტურ საზოგადოებისაკენ (Genossenschaft) მივყავართ (pp. 128—129)“.

ეს სიტყვები აღნიშნავენ მომავალ სოციალიზმის ნიშნებს თანამედროვე სახელმწიფოებში, მაშასადამე, ჩვენს საკამათო საგანს სრულებით არ უდგება.

„მუშა ხალხის ბრძოლა კაპიტალისტების ექსპლოატაციის წინააღმდეგ ძალა-უნებურათ პოლიტიკური ბრძოლაა. მუშა ხალხი ვერ შესძლებს ეკონომიურ ბრძოლას და თავის ეკონომიურ ორგანიზაციის განვითარებას, თუ იგი მოკლებულია პოლიტიკურ თავისუფლებას; მას არ შეუძლია მოახერხოს საწარმოო ძალთა გადასვლა საზოგადოების ხელში, თუ პოლიტიკური მეუფება არ იგდო ხელში“.

მუშათა პარტიის ბრძოლა—პოლიტიკური ბრძოლა ყოფილა და მუშა ხალხმა პოლიტიკური ძალა (ე. ი. დიქტატურა) ხელში უნდა ჩაიგდოსო. ახალს რასმე, როგორც ხედავთ, არც ეს ციტატა გვეუბნება. რომ პროლეტარიატის ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, ამის წინააღმდეგი ვინ იქნება! რომ პროლეტარიატმა დიქტატურა უნდა ჩაიგდოს, მაგას ხომ ჩვენც ვამბობთ.

„თანამედროვე სახელმწიფოშიო, ამბობს კაუცკი (p. 220) მხოლოდ ერთის საშუალებით არის შესაძლებელი სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე გავლენის შეძენა; ეს საშუალება არის ხალხისაგან არჩეული პარლამენტი“.

მაშასადამე, მართვა-გამგეობაზე გავლენის შეძენა მხოლოდ პარლამენტის საშუალებით შეძლებულა. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მუშათა პარტიამ უნდა სახალხო პარლამენტი შექნას, ბურჟუაზიულის ნაცვლათ.

„იქ, სადაც პროლეტარიატი, როგორც შეგნებული კლასი, იბრძვის პარლამენტისათვის და პარლამენტში მონაწილეობას იღებს, პარლამენტარიზმის წინანდელი არსება იცვლება: იგი აღარ არის მხოლოდ ბურჟუაზიის ბატონობის საშუალება. სწორეთ ეს ბრძოლა (პარლამენტისათვის და პარლამენტში) უძლიერესი საშუალებაა პროლეტარიატის შეგნებულ ნაწილის გასაღვიძებლათ, მუშების გასაერთიანებლათ, და სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე გავლენის შესაძენათ მუშების სასარგებლოთ. მოკლეთ რომ ვთქვათ, ეს ბრძოლა არის უძლიერესი ბერკეტი (Hebel) პროლეტარიატის ეკონომიურ, საზოგადოებრივ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ დამცირებისაგან აღსადგენათ (p. 225“).

მაშასადამე, მუშათა პარტია უნდა ჩაერიოს პარლამენტში, რადგან პარლამენტი საუკეთესო სალსარია პროლეტარიატის შესაკავშირებლათ, გაღვიძებლათ და ეკონომიურ, საზოგადოებრივ და ზნეობრივ დამცირებიდან აღსადგენათ. ,,კვალის'' მე-2 ნომერში ჩვენ შემდეგი აზრი გამოვთქვით: ,,დიახ, პარტია თხოულობს რეფორმებს (მაშასადამე პარლამენტში ჩარევასაც), მაგრამ ამ რეფორმებს კი არა სჯერდება როგორც ოპპორტუნისტი: ეს რეფორმები მუშათა პარტიას იმისთვის უნდა, რომ მუშა ხალხი უფრო გაამაგროს, რომ აგიტაცია უფრო კარგ ნიადაგზე დააყენოს''. როგორც ვხედავთ, ბ. № ჩემის აზრის დასამტკიცებლათ კაუცკის ციტატა მოუყვანია, რომლისთვისაც გულწრფელ მადლობას მიუძღვნი.

ამნაირათ, არც ერთი ციტატა იმას არ ამბობს, კაუცკი სოციალურ რეფორმებს სჯერდებაო, და ყველა ეს ამონაწერები მხოლოდ იმიტომ არის მოყვანილი, რომ თავის სიმრავლით მოწინააღმდეგე შეაშინოს და მკითხველები გააკვირვოს. ახლა რაკი ციტატებზე მიდგა საქმე, ჩვენც მოვიყვანთ კაუცკის ციტატებს იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ სოც.-დემ. აუცილებელია უკიდურეს ზომების ხმარება. იმავ თავში, საიდასაც ბ. №-ს I ციტ. ამოუღია, ვკითხულობთ: დიდი ხანია რეფორმატორები გვითითებენ სხვადასხვა საშუალებაზე კლასთა შორის უთანხმოების მოსასპობათ და კატასტროფის თავიდან ასაცდენათ. „არა მგონია კიდევ დარჩენილიყოს ახალი რამ ლონისძიება. ყველა ეს „სულ ახალი ზომები“, რომლითაც ჩვენ სოციალურ შარლატნებს უნდათ ძველ სნეულების სწრაფათ, იაფათ და უტკივრათ მორჩენა, ძველ აღმოჩენის ახალი მოგონებაა, და სხვა არაფერი“. ესეთი აზრისაა კაუცკი სოციალურ რეფორმების შესახებ.

**) იხ. „კვალი“ № 24 „კიდევ ოპპორტუნიზმის მოტრფიალეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მოვისმინოთ კიდევ ერთი ადგილი იმავე თავიდან: „ხალხის გაპროლეტარება, მთელი კაპიტალის მოგროვება რამდენიმე კაცის ხელში, რომლებიც მთელ ერის ეკონომიურ ცხოვრებას განაგებენ, მუდამ ზედ-მეტის წარმოება, კრიზისები, ცხოვრების უზრუნველყოფელობა—ყველა ეს მტანჯველი და გამაბრაზებელი მოვლენა კაპიტალისტურ წარმოებისა უფრო და უფრო იზრდება და მის მუდმივ ზრდას ვერ შეაჩერებს ვერავითარი სოციალური რეფორმები, რაც კი საკუთრების დამაკანონებელ წყობილებიდან გამომდინარეობს. (კურსივი თვით კაუცკისაა) (ეს სიტყვები იმავე გვერდზეა დაბეჭდილი, საიდანაც ბ. №-ს პირველი ციტატა აქვს ამოღებული. მაგრამ, ეტყობა, ავტორს ეს ხაზ-გასმული სიტყვები ვერ დაუნახავს!). ამ გვარათ კაუცკის აზრითაც ვერავითარი სოციალური რეფორმები ვერ უშველიან კლასთა შუა ბრძოლის მოსპობას.

ეხლა მკითხველმა საჯოს, ვის უნდა სცხვენოდეს ფონის გასასვლელ ხერხების ხმარება, ვინ ყოფილა „ბრმა, ან სხვა რამ სენით შეპყრობილი“ და მართლა „სულ სხვა რასმეს გვეუბნება“ კაუცკის წიგნი, თუ იმას, რასაც წინა წერილში ვამბობდით.

ჩვენ ფაქტიურათ დავამტკიცეთ, რომ სოციალ-დემოკრატების და ოპპორტუნისტების ტაქტიკა ძირითადათ განსხვავდება, რომ სოც.-დემ. ბურჟუაზიასთან მოურიგებელი, უკიდურეს ზომების სომხრე პარტიაა, ოპპორტუნისტები კი ბურჟუაზიასთან მორიგებას ქადაგებენ. ჩვენ დავუმტკიცეთ, რომ კაუცკის აზრითაც სოციალური რეფორმები კლასთა შუა ქიშპობას ვერ მოსპობს. თუ ბ. №-ს სათქმელი რამ აქვს, ამ ორ კითხვაზე ილაპარაკოს, თორემ, წვრილმანებს თუ გამოვეკიდეთ, პოლემიკა კიტრათ არ ეღირება.*)

ლ. ნ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ხანი არ არის, რაც კავკასიის მკვიდრთაგან გაყვანილ ჯარის-კაცებს რუსეთის იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილებში აგზავნიან სამსახურში, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიც დამტკიცდა, რომ ჩვენებურები ვერ იტანენ შორეულ ჩრდილოეთის ჰავას და ბევრი მათგანი უდროვოთ გამოეთხოვა წუთი-სოფელს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია, სხვათა შორის, იმერეთის თავად-აზნაურობამ და აღძრა შუამდგომლობა, რომ ჩვენი ქვეყნის შვილები ისევ კავკასიაში დატოვონ სასამსახუროთ. ამას წინეთ ოდესიდან წერდენ ადგილობრივ გაზეთებს, რომ იქაც მეტათ დიდ გაჭირვებას გრძნობენ ჩვენი თანამემამულენი. ახლა პორტარტურიდან წერენ „ცნ. ფურცელს“:

„ქალაქ პორტ-არტურში ოთხი რაზმია და ამ რაზმში ამ ჟამათ ათამდე ქართველი ჯარის-კაცი მსახურებს. წინეთ სამჯერ უფრო მეტი იყო. 190 წელს აქ 27 ქართველი ჯარის-კაცი ითვლებოდა. სამწუხაროთ ჩვენებურებმა აქაური ჰავა ვერ აიტანეს, ამიტომ დაიხოცა, ბევრიც ავათმყოფობისა გამო გაანთავისუფლეს და შინ გაუშვეს, ასე რომ 27 კაციდან ათამდე-ღა დარჩა.

„ქართველები აქ მოსვლისათანავე საშინელ დარდსა და მწუხარებას ეძლევიან. ძალიან ბევრი ჰლექიანდება. იანვარში ლაპარაკი იყო, რომ ჩვენებურ კაცს ამურისკენ აღარ გამოგზავნიდენ. მთავარმა შტაბმა ცნობებიც მოითხოვა, სად რომელი გუბერნიის კაცი მსახურებსო, მაგრამ მას შემდეგ საქმე მიყუჩდა და აღარა ისმის-რა. 17 ივნისს სამხედრო მინისტრი იყო აქ. იმედი გვქონდა, რამეს გამოგვიცხადებდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა: ერთ ჩვენებურს ვინაობა გამოკითხა, ხომ არ ავადმყოფობენო, მიმართა მერე აფიცრებს, მაგრამ ამათ ერთხმათ მიუგეს, ყველანი კარგათ არიანო...“

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს ინტერესებიც იმას მოითხოვს, რომ ხალხს იქ და იმ გვარათ უნდა გადაახდევინოს ყოველი ბეგარა, სადაც მისთვის უფრო საადვილოა და შესაძლებელი.

* * *

გაზეთ „Бак. Изв.“-ში მოთხრობილია შემდეგი საინტერესო ამბავი:

„შარშან აპრილში ბაქოს რკინის გზის საავათმყოფოში გარდაიცვალა უფროსი მუშა მიხეილ კრესტიანინოვი. კრესტიანინოვი 10 წლის განმავლობაში ემსახურებოდა რკინის გზას, მთელი თავისი ძალ-ღონე მას შესწირა, თუმც ისეთ მცირე სასყიდელს ღებულობდა, რომ სულს ძლივს იბრუნებდა. საბრალო იმ იმედით გარდაიცვალა, რომ იმის ხანში შესულ ცოლს უპატრონოთ არ დააგდებდენ.

„რკინის გზის მთავრობამ კრესტიანინოვის დასამარხათ 30 მანეთი გადასდო, რაც ბაქოში, სადაც ისეთი სიძვირეა, სრულიათ არ იყო საკმაო.

„ქვრივს 17 მანეთი დაუნიშნეს (ეს ფული ქმარს მოუვიდა საჩუქრათ 1901 წ.) და აგრეთვე 187 მან., რომელიც კაპეიკობით გამოუკლეს კრესტიანინოვს ?ისი ჯამაგირიდან და საპენსიო კასაში ინახებოდა. არავინ იცის, დაენიშნა ამ მუშის ქვრივს თვითონ რკინის გზის მმართველობისაგან რაიმე შემწეობა თუ არა, მხოლოთ ეს კი ნამდვილათ ვიცით, რომ ქალს ჯერ ერთი კაპეიკიც არ მიუღია თავის ქმრის ჯილდოსი და მისგანვე საპენსიო კასაში მოგროვილი ფულისაგან.

„რკინის გზის სამმართველოში გამოუცხადეს, რომ ფულის მისაღებათ მან უნდა მიმართოს გეოგჩაის მომრიგებელ მოსამართლეს, რადგან იმის ქმარი იქ მსახურობდა. ქვრივი დედაკაცი დაემორჩილა ბედს და დანიშნულ ადგილს გაემგზავრა. მომრიგებელმა მოსამართლემ საყვედურით გამოისტუმრა ის უკან, რადგან საჭირო დოკუმენტები არ წარუდგენია თავისი ვინაობის შესახებ. ქალი დაბრუნდა სად. ბარგუშეთში, სადაც მას ძველმა ნაცნობებმა თავშესაფარი მისცეს და საჭირო დოკუმენტების შეკრებაში დახმარება აღმოუჩინეს. ბოლოს, როგორც იქნა, მოუყარა დოკუმენტებს თავი და ხელმეორეთ გეოქჩაის გაემგზავრა.

„მაგრამ საუბედუროთ მხოლოთ იქ გაიგო, რომ მსაჯული ზაფხულობით სააგარაკო ადგილებში ატარებს დროს და საქმის გასარჩევათ ორ კვირაში ერთხელ მოდის. ბ. მდივანი დათხოვნილი იყო დასასვენებლათ და გამომძიებელმა, რომელმაც ქალის საქმეში გულმტკივნეულობა გამოიჩინა, მხოლოთ შესძლო ეცნობებინა, რომ მსაჯული 27 ივლისამდი არ დაბრუნდება. ქვრივი ახლაც ხელცარიელი დაბრუნდა.

„რის ვაივაგლახით ქალი მესამეჯერ გაემგზავრა და საჭირო დოკუმენტებით მსაჯულს გამოეცხადა. მაგრამ აქ გამოუცხადეს მას, რომ საჭიროა მოწმობა იმის შესახებ, რომ მას შვილები არა ყავს. შეიძინა ეს მოწმობაც და მეოთხე ჯერ გამოცხადდა სასამართლოში.

„აქ კი გულუბრყვილო ქალს ფულის მიცემის მაგიერ სამი მანეთი პირიქით მოთხოვეს „პუბლიკაციისათვის“, რადგან შესაძლოა კანონიერი მემკვიდრე აღმოჩნდესო. ქალი სახლში დაბრუნდა და სამი მანეთი ფოსტით გაუგზავნა. ბევრი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ფული ჯერ არ მიუღია. ვინ იცის, შეიძლება, ოდესმე ბედმა გაუღიმოს და აკმაროს მას ამდენი ტანჯვა-წვალება, თორემ იმისთვის თავს არავინ იტკივებს.“

დრ. რედაქტორი — ნ. ი. ალექსეევ-მესხიევი.

გამომცემელი — ან. მ. თ.-წერეთლისა.

*) შენიშვნა ბებელის ოპპორტუნისტობის შესახებ: თუმცა ავტორს „მეტათ მიაჩნია“ ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ მხარს უხვევს ჩვენგან წინა წერილში მიცემულ ფაქტის ახსნას და ძველებურათვე გაიძახის: „ბებელის მხრივ ეს დათმობააო“. ამას ხომ წინათაც ამბობდა, და თუ ლაპარაკი მეტათ მიაჩნია, წინანდელ აზრს რაღას იმეორებს, მერე იმისთანა აზრს, რომლის სიყალბე უკვე გამოვაჩინეთ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го августа 1903 г. [illegible] Тип. [illegible] Хеладзе, Русскій базаръ, д. Арм. Дух. Семинаріи.